



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013. წინამდებარე თარგმანი მომზადდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების სატრასტო ფონდის მხარდაჭერით (www.coe.int/humanrightstrustfund). თარგმანი სასამართლოსთვის სავალდებულო ძალას არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დოკუმენტის ბოლოში მოცემული შენიშვნა საავტორო უფლებების შესახებ.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2013. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო

პირველი სექცია

საქმე დორდევიჩი ხორვატიის წინააღმდეგ

(საჩივარი № 41526/ 10)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2012 წლის 24 ივლისი

საბოლოო

24/10/2012

*გადაწყვეტილება საბოლოოა კონვენციის 44 § 2 მუხლის მიხედვით. იგი შესაძლოა დაექვემდებაროს
სარედაქციო შესწორებას*

მოცემულ საქმეზე დორდევიჩი ხორვატიის წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (პირველი სექცია), შემდეგი
შემადგენლობით:

ანატოლი კოვლერი, *პრეზიდენტი*,

ნინა ვაჯიჩი,

პერ ლორენზენი,

ელიზაბეტ შტეინერი,

ხალნარ ჰაჯიევი,

ლინოს-ალეხანდრე სიცილიანოს,

ერიკ მოსე, *მოსამართლეები*,

და სიორენ ნიელსენი, *სექციის გამწესრიგებელი*,

ითათობრა რა დახურულ სხდომაზე 2012 წლის 3 ივლისს,

მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება, მიღებული ბოლოს მითითებულ დღეს:

პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო საჩივარი (№41526/10) წარმოდგენილი ხორვატიის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც 2010 წლის 12 ივლისს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოში შეიტანა ხორვატიის ორმა მოქალაქემ, ბ-ნმა დალიბორ დორდევიჩმა და ქ-ნმა რადმილა დორდევიჩმა ("მომჩივნები").
2. მომჩივნებს გაეწიათ იურიდიული დახმარება და წარმოდგენილ იქნენ ქ-ნი ი. ბოიჩის მიერ, ადვოკატის, რომელიც პრაქტიკას ზაგრებში ეწევა. ხორვატიის მთავრობას ("მთავრობა") წარმოადგენდა ქ-ნი ს. სტაჟნიკი .
3. 2010 წლის 10 სექტემბერს, პირველი სექციის პრეზიდენტმა გადაწყვიტა საჩივრის შესახებ შეეტყობინებინა მთავრობისათვის. ამასთანავე, გადაწყდა საჩივრის არსებითი მხარე მის მისაღებობასთან ერთად განეხილა (მუხლი 29 § 1).
4. მომჩივნებმა და მთავრობამ წარმოადგინეს მოსაზრებანი საქმის მისაღებობასა და არსებით მხარესთან დაკავშირებით. ამასთანავე, მესამე მხარის კომენტარები მიღებულ იქნა "ევროპის შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ ფორუმის" მიერ, რომელსაც მიეცა უფლება ჩართულიყო საქმის წერილობით პროცედურაში

(კონვენციის მუხლი 36 § 2 და სასამართლო რეგლამენტის მუხლი 44 § 3). მოპასუხე მთავრობამ პასუხი გასცა მოცემულ კომენტარებს (სასამართლო რეგლამენტის მუხლი 44 § 6).

ფაქტები

I. საქმის გარემოებანი

5. მომჩივნები დაიბადნენ 1977 და 1956 წელს და ცხოვრობენ ზაგრებში.
6. პირველ მომჩივანი არის შეზღუდული უფლებაუნარიანობის მქონე გონებრივი და ფიზიკური ჩამორჩენილობის გამო. კვირაში თორმეტი საათის განმავლობაში იგი დადის ზაგრების ვ.ბ. დაწყებით სკოლაში სადაც ესწრება ზრდასრულთათვის განკუთვნილ კურსებს. მას უვლის დედამისი, მეორე მომჩივანი. 2008 წლის 16 ივნისის სამედიცინო დოკუმენტები პირველი მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობას აღწეს შემდეგვარად:

" ... ადრეულ ბავშვობაში მან გადაიტანა ჩირქოვანი მენინგიტი, რამაც გამოიწვია უნარების შეზღუდვა და ეპილეფსია. იგი ჩამორჩება გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას და არის ნევროლოგიისა და ფსიქიატრის მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ. ჰიდროცეფალიის გამო მას ჩაუტარდა პუდენზის სარქველის (ცერებროსპინალური სითხის შუნტის სახეობა) იმპლანტირება. ... მას აქვს ძალიან სუსტი მხედველობა ... და დამოკიდებულია დედაზე რათა მან გამოკვებოს, ჩააცვას, უზრუნველყოს მისი პირადი ჰიგიენა და გადაადგილება. მისი ზურგი მობილურია, თუმცა უჩივის ტკივილებს ქვედა ზონაში ... იგი დაავადებულია ფეხის დეფორმაციის მძიმე ფორმით, ... უჭირს სიარული; სიარული თითის წვერებსა და ქუსლებზე შეუძლებელია. გონებრივად იგი ემოციურად განყენებულია, აქვს შიშები და ერთობ შეზღუდული სიტყვათა მარაგი. ..."

7. მომჩივნები ცხოვრობენ შპანსკოში, ზაგრების ნაწილში, პირველ სართულზე მდებარე ბინაში. ა.კ. დაწყებითი სკოლა მათ სახლთან ახლოს მდებარეობს.
8. როგორც ჩანს 2008 წლის ივლისიდან 2011 წლის თებერვლამდე მომჩივნები დაექვემდებარნენ შევიწროებას. ისინი აღნიშნავენ, რომ მოსწავლეები ა.კ. დაწყებით სკოლაში, ყველანი არასრულწლოვნები, ხშირად ავიწროვებდნენ მათ, კერძოდ კი პირველ მომჩივანს, დღის ყველა მონაკვეთში, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მოსწავლეები ჯგუფ-ჯგუფად ბრუნდებიან შინ სკოლიდან და გვიან შუადღეს და საღამოს, როდესაც იკრიბებიან მშობლების ზედამხედველობის გარეშე და იკრიბებიან მომჩივნების ბინის წინ მდებარე ხის სკამის ირგვლივ. შევიწროება გაგრძელდა დაახლოებით ოთხი წელი და გამოწვეული გახლდათ პირველი მომჩივნის

ჯანმრთელობისა და ორივე მომჩივნის სერბულ წარმოშობის გამო. უფროს ბავშვთა ჯგუფი, ასევე არასრულწლოვნები, ყოველ დილას მოდიან და ჩერდებიან მომჩივნების ბინის წინ, გამოთქვამენ უხამს სიტყვებს პირველი მომჩივნის მისამართით, მოიხსებიენ სახელით და წერენ შეურაცმყოფელ ტექსტებს ტროტუარზე. ბავშვები ხშირად რეკავენ მომჩივნების კარზე ზარს და ეკითხებიან გამოვა თუ არა პირველი მომჩივანი სათამაშოდ. ისინი ხშირად აფურთხებენ პირველ მომჩივანს.

9. 2008 წლის 31 ივლისის პოლიციის მოხსენება აღნიშნავს, რომ მეორე მომჩივანმა გამოუძახა პოლიციას 21.12-ზე და იჩილა, რომ მისთვის უცნობი ახალგაზრდები ავიწროვებდნენ მის ვაჟს და გააფუჭეს რიგი ნივთები მის აივანზე. პოლიცია მივიდა მომჩივნებთან 21.30-ზე და მეორე მომჩივანმა უთხრა მათ, რომ დაახლოებით 18.00 იგი და პირველი მომჩივანი გავიდნენ ბინიდან და როდესაც დაბრუნდნენ, დაახლოებით 21.00-ზე აღმოაჩინა, რომ აივანი დაზიანებული იყო, ხოლო იქვე დარგული ყვავილები სრულად ამოთხრილი. მან ასევე უთხრა პოლიციას, რომ პირველი მომჩივანი უკვე დიდი ხანია არის შევიწროების მსხვერპლი მეზობელი ბავშვების მხრიდან მისი გონებრივი ჩამორჩენის გამო. მეორე მომჩივანმა ორი ბავშვი დაასახელა კიდევ.
10. 2009 წლის 2 მარტს სუსედგრადის სოციალური კეთილდღეობის ცენტრმა დააწესა მშობლის მზრუნველობაზე ზედამხედველობა დ.კ. - მოსწავლე ზაგრების ა.კ. დაწყებით სკოლაში - მიმართ მისი სუსტი აკადემიური მოსწრების, პრობლემური ქცევისა და სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენისადმი მიდრეკილების გამო. არსად ხსენებული არ ყოფილა მის მიერ მომჩივნების მიმართ განხორციელებული ზეწოლის შესახებ.
11. 2009 წლის 6 აპრილს შედგენილი სამედიცინო ანგარიშის მიხედვით იკვეთება, რომ პირველ მომჩივანზე განხორციელდა ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლა ქუჩაში და მას ორივე ხელზე აღენიშნებოდა სიგარეტის ნამწვავები. ექიმმა სთხოვა სოციალურ ორგანოებს დაეწყოთ სამართალწარმოება პირველი მომჩივნის დასაცავად - როგორც პირისა რომელსაც გააჩნდა სერიოზული გონებრივი პრობლემები - და ამასთანავე დაახასიათა იგი როგორც მშვიდობიანი და კეთილი პიროვნება რომელსაც არ შეეძლო და არ იცოდა საკუთარი თავის დაცვა მოძალადეებისაგან.
12. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ომბუდსმენის მიმართ 2009 წლის 20 აპრილს გაგზავნილ წერილში მეორე მომჩივანი ჩიოდა, რომ 2009 წლის 4 აპრილს ორმა ბავშვმა, დ.კ.-მ და ი.მ.-მ შეავიწროვეს პირველი მომჩივანი. იგი აღნიშნავდა, რომ ველოსიპედის მართვისას ისინი მიუახლოვდნენ პირველ მომჩივანს და ხელზე მიაწვეს სიგარეტები. იგი ასევე აცხადებდა, რომ პირველი მომჩივანი მუდმივად ექვემდებარებოდა შევიწროებას ახლომდებარე სკოლის მოსწავლეებისაგან მისი გონებრივი ჩამორჩენის გამო და რომ მეორე მომჩივანს არერთხელ უჩივლია სუსედგრადის სოციალური კეთილდღეობის ცენტრსა და ა.კ. დაწყებითი სკოლის მმართველ ორგანოებში, თუმცა უშედეგოდ.
13. იმავე დღეს მომჩივნების ადვოკატმა შეიტანა საჩივარი პოლიციაში 2009 წლის 4 აპრილის ინციდენტის გამო.

14. 2009 წლის 5 მაისით დათარიღებული პოლიციის ანგარიში აღნიშნავს, რომ მოცემულ დღეს ზაგრების პოლიციის II განყოფილებაში დაიკითხა 1997 წელს დაბადებული დ.კ. და 1995 წელს დაბადებული პ.ბ.. ანგარიშის შესაბამისი ნაწილი დ.კ.-სთან დაკავშირებით აღნიშნავს შემდეგს:

" როდესაც ვკითხეთ ახსოვდა თუ არა ზაგრებში 2009 წლის 4 აპრილს განვითარებული მოვლენები, დ.კ.-მ გვიპასუხა, რომ დაახლოებით შუადღეს იგი იქ იმყოფებოდა მის მეგობარ ი.მ.-სთან ერთად, რომელიც არის ა.კ. დაწყებითი სკოლის მეშვიდე კლასში, და რომ პ.ბ. და უფრო დიდი ბიჭი იგივე სკოლის მეშვიდე კლასიდან მოვიდნენ მისთვის უცნობ ორ კაცთან ერთად და თამაშობდნენ ბურთით. პირი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობებისაა და ჰქონდა პრობლემები დაბადებიდან და რომელიც ცხოვრობს ბინაში ... ქუჩაზე თამაშობდა შენობებს შორის. ერთ მომენტში პ.ბ.-მ აანთო სიგარეტი, მიუახლოვდა დალიბორს და რამდენიმეჯერ დაუწვა მარჯვენა ხელი, რის შემდეგაც ისინი ყველანი გაიქცნენ, რადგან იმ ბიჭმა ყვირილი დაიწყო".

ანგარიშის შესაბამისი ნაწილი პ.ბ. შესახებ აღნიშნავს შემდეგს:

"როდესაც ვკითხეთ ახსოვს თუ არა ზაგრებში 2009 წლის 4 აპრილს განვითარებული მოვლენები, რომელიც ეხებოდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირზე, დალიბორ დორდევიჩზე ზეწოლას, პ.ბ.-მ თქვა რომ იგი ამ მოვლენის დროს იქ არ იყო, მაგრამ იმ კვირის დასაწყისში, დილას შესვენების დროს იგი შეხვდა დ.კ.-ს, რომელიც იმავე სკოლის მეხუთე კლასში სწავლობს და რომელმაც უთხრა, რომ მან (დ.კ.) და ი.მ.-მ შაბათს, დაახლოებით შუადღეს, სიგარეტი მიაწვეს ხელზე პირს სახელად დალიბორი ... ქუჩაზე, რომელიც იქვე ცხოვრობს და არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე.

როდესაც დავუსვით შემდგომი შეკითხვა - იცის თუ არა როგორ გამოიყურება მოცემული პიროვნება, მან გვიპასუხა, რომ იგი იმ ქუჩაზე სათამაშოდ მიდიოდა ხოლმე სხვა მეზობელ ბიჭებთან ერთად და უნახავს ის პიროვნება, რომელიც დაახლოებით ოცდაათი წლისაა, ძლიერი აღნაგობისაა, აქვს მოკლე შევერცხილი თმა, თხელი აგებულებისაა და უჭირს საუბარი. მოცემული პიროვნება თამაშობს სხვა ბავშვებთან, რომლებიც მას აბრაზებენ, იგი მათ მისდევს და სცემს".

15. 2009 წლის 7 მაისის პოლიციის ანგარიშის მიხედვით, ზაგრების პოლიციის II განყოფილებაში პოლიციამ დაკითხა ი.მ., დაბადებული 1994 წელს. ანგარიშის შესაბამისი ნაწილის მიხედვით:

" როდესაც ვკითხეთ ახსოვდა თუ არა 2009 წლის 4 აპრილს ... ზაგრებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე დალიბორ დორდევიჩზე, ოცდაათიდან ორმოც წლამდე

პირზე, ზეწოლის შესახებ, ი.მ.-მ თქვა, რომ მას ახსოვს მოცემული შემთხვევა, შაბათი დღე იყო ... იგი ველოსიპედით იყო... დ.კ.-სთან ერთად წავიდნენ ... ქუჩაზე, სადაც ნახეს დალიბორი, დაბადებიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, რომელიც შენობებს შორის თამაშობდა ბურთით ბავშვებთან ერთად. ბავშვებმა მას გამოართვეს ბურთი და აღარ უბრუნებდნენ. როდესაც მან დაინახა აღნიშნული ფაქტი, ი.მ.-მ ჰკითხა ბავშვებს თუ რატომ არ უბრუნებდნენ ბურთს დალიბორს, ხოლო დალიბორმა კი დაიწყო ყვირილი და ხელების ქნევა. ბავშვებმა ამ დროს ესროლეს ბურთი და მან დაიჭირა. მას (ი.მ.-ს) ეჭირა სიგარეტი მარცხენა ხელში ... როდესაც მან ველოსიპედით გვერდით ჩაუარა დალიბორს, მან დაუწყო ხელების ქნევა და რამდენჯერმე მიარტყა ხელი იმ ხელზე, რომლითაც ეჭირა სიგარეტი და სწორედ ამიტომ დაეწვა დალიბორს ხელი. იგი დარწმუნებულია, რომ დალიბორს ხელი მხოლოდ ერთ ადგილას დაეწვა და იგი ამის გამო წუხდა. იგი ვერ ხვდება თუ რატომ მოიქცა დალიბორი ამგვარად, რადგანაც მისი (ი.მ.) ბრალი არ იყო, რომ ვიღაც ბავშვებმა მას ბურთი წაართვეს. მოსწავლე პ.ბ. მასთან ერთად არ ყოფილა.

...

როდესაც მას პოლიციამ დაუსვა შემდგომი შეკითხვა - თუ რამდენად ჰქონდა დალიბორს პრობლემები სხვა ბავშვებთან, ი.მ.-მ უპასუხა რომ იგი ხშირად იმყოფება იმ ქუჩაზე სადაც დალიბორი ბურთით თამაშობს სხვა ბიჭებთან ერთად და აღნიშნა, რომ ის ბავშვები აბრაზებენ დალიბორს მისი ავადმყოფობის გამო... და მერე დალიბორი მათ უკან მისდევს და იჭერს ხოლმე.

საბოლოოდ, ი.მ.-ს დედას, რ.-ს ვურჩიეთ ყურადღება მიექცია ი.მ. საქციელისათვის. მან თქვა, რომ მას პრობლემები არ ჰქონდა შვილთან და ვერ ხვდებოდა თუ რატომ გააკეთა ეს".

16. 2009 წლის 19 მაისს ზაგრების პოლიციის II განყოფილებამ მოხსენება გაუგზავნა ზაგრების სახელმწიფო პროკურორის არასრულწლოვანთა განყოფილებას, სადაც აღნიშნა შემდეგი:

-2009 წლის 16 აპრილს მათ მიიღეს წერილი სუსედგრადის სოციალური კეთილდღეობის ცენტრიდან, რომ ამ უკანასკნელმა მიიღო შეტყობინება მეორე მომჩივნისაგან, სადაც იგი მიუთითებდა, რომ მისი ვაჟი დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას დ.კ.-სა და სხვათა მხრიდან, რასაც თან ერთვოდა სამედიცინო დოკუმენტაცია;

- 2009 წლის 30 აპრილს მათ მიიღეს წერილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ომბუდსმენისაგან, რომელიც აღნიშნავდა, რომ მან მიიღო წერილი მეორე მომჩივნისაგან, რომელიც ითხოვდა დახმარებას პირველი მომჩივნის მიმართ ხშირი შევიწროების გამო;

პოლიციამ ზაგრების სახელმწიფო პროკურატურის არასრულწლოვანთა განყოფილებას ასევე შეატყობინა იმ გასაუბრების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბავშვებთან დ.კ., ი.მ. და პ.ბ.

17. 2009 წლის 20 მაისის წერილში ზაგრების პოლიციის II განყოფილებამ შეატყობინა ომბუდსმენს, რომ ისინი გაესაუბრნენ ბავშვებს ი.მ. და დ.კ., რომ ისინი შეეხმიანენ ა.კ. დაწყებითი სკოლის დირექტორს და რომ განყოფილების პოლიცია ინფორმირებული იყო პრობლემის შესახებ, რის გამოც რეგულარულად ახორციელებდნენ მოცემული ქუჩის პატრულირებას.
18. 2009 წლის 17 ივლისს პოლიციამ შეატყობინა სუსედგრადის კეთილდღეობის ცენტრს, რომ მათ დაადგინეს შემდეგი: 2009 წლის 4 აპრილს დაახლოებით შუადღეს პირველი მომჩივანი თამაშობდა ბურთით ქუჩაში მეზობელ ბიჭებთან ერთად, რომლებმაც მას წაართვეს ბურთი, რამაც იგი გააბრაზა. როდესაც ბიჭებმა ი.მ. და დ.კ. ჩაუარეს პირველ მომჩივანს, პირველმა მომჩივანმა ხელი დაუქნია მათ და ი.მ.-მ შემთხვევით დაუწვა ხელი.
19. 2009 წლის 16 ივლისს სუსედგრადის კეთილდღეობის ცენტრმა შეადგინა ანგარიში პირველ მომჩივანზე, ანგარიშს შესაბამისი ნაწილის მიხედვით:

"...

2008 წლის 6 აგვისტოს (პირველი მომჩივნის) დედამ რადმილამ იჩივლა ჩვენთან დალიბორის შევიწროების გამო, მიუთითებდა რა, რომ ბავშვები ... სტუმრად იყვნენ მოსულები გოგონებთან ვ.კ. და ი.კ., რომლებიც იმავე შენობაში ცხოვრობდნენ სადაც ისინი. კ. (გვარის აბრევიატურა-თარჯიმნის შენიშვნა) გოგონებმა განაცხადეს, რომ ისინი არ ავიწროვებდნენ დალიბორს და რომ ჯგუფის ლიდერი გახლდათ პ.ბ.

შეთანხმება მიღწეულ იქნა კ. გოგონებთან და მათ დედასთან ჯ.ფ.-თან რომ გოგონები შეწყვეტდნენ ბინის მოპირდაპირე მხარეს შეკრებას და ამისათვის მოძებნიდნენ სხვა ადგილს, რათა თავიდან აეცილებინათ კონფლიქტი.

ჰ. და მისი მშობლები დაბარებულ იქნენ ოფისში. ჰ.-მ თქვა, რომ იგი აღარ მივიდოდა მოცემული ბინის მოპირდაპირე მხარეს და მას შემდეგ გარკვეული პერიოდით სიმშვიდემ დაისადგურა.

ამის შემდეგ შეკრება დაიწყო ბიჭების სხვადასხვა ჯგუფებმა, ქ-ნ დორდევიჩის უჭირს მათი სახელების დასახელება, თუმცა იცის, რომ ისინი ა.კ. დაწყებით სკოლაში სწავლობენ.

ქ-ნმა დორდევიჩმა კიდევ ერთხელ იჩივლა შევიწროების შესახებ 2009 წლის 8 აპრილს, როდესაც დალიბორს დაუწვეს ხელები სიგარეტით და (მან თქვა, რომ) შევიწროება გრძელდებოდა.

2009 წლის 17 ივნისს გავესაუბრეთ ქ-ნ დორდევიჩს. მან თქვა, რომ პრობლემა გრძელდებოდა. რომ ახალი ბავშვები მუდმივად ახდენდნენ დალიბორის პროვოცირებას, უმეტესწილად კ. გოგონების ნაცნობები. ორი ან სამი დღე სიმშვიდე იყო, მაგრამ მერე პრობლემები ისევ იწყებოდა. ქ-ნ დორდევიჩს კარგი ურთიერთობა ჰქონდა სკოლის მრჩეველთან, დეფექტოლოგთან და დირექტორთან.

ქ-ნი დორდევიჩის განცხადება: "2009 წლის 16 ივნისს პირველად ჯერ გოგონები მოვიდნენ და დადგნენ ბინის პირდაპირ მდებარე სკამთან. ქ-ნმა დორდევიჩმა უთხრა დალიბორს შინ შემოსულიყო, იცოდა რა თუ რაოდენ ეშინოდა მის ვაჟს მათი. მათ უთხრეს, რომ მალე წავიდოდნენ, ამიტომ შესაშფოთებელი არაფერი იყო. შემდეგ მოვიდა ბიჭების ჯგუფი და დალიბორს წყალი მიასხეს ბუშტით."

ქ-ნმა დორდევიჩმა ასევე თქვა, რომ ამ ბოლო დროს, ვ.კ.-მ ისევ დაიწყო ბავშვების შეკრება შენობის წინ, რამაც გააბრაზა დალიბორი.

პოლიციასა და სკოლას ეცნობა მოცემული მოვლენების შესახებ.

სკოლის ადმინისტრაცია გაესაუბრა ბავშვებსა და მათ მშობლებს.

პოლიციამ ჩაატარა მოკვლევა და გაესაუბრა იმ ბავშვებს, რომლებიც ადგილზე იმყოფებოდნენ მაშინ, როდესაც დალიბორი დაიწვა.

იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული შემდგომი შევიწროება, ჩვენ მივწერეთ სკოლის ადმინისტრაციას და ვთხოვეთ ჩაატარონ შეხვედრები ყველა ბავშვთან და მშობელთან სასკოლო წლის დასაწყისშივე, ყველა კლასში, და შეატყობინონ ყველას არსებული პრობლემის შესახებ და განუმარტონ, რომ ყველანი პასუხისმგებლები იქნებიან არასათანადო მოპყრობის გამო მანამდე, სანამ არ დადგინდება დამნაშავეების ვინაობა. ასევე შევთავაზეთ, რომ ჩატარებულ იქნას ლექციები და სამუშაო შეხვედრები ბავშვებთან, რათა ავუხსნათ თუ ვინ არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, რომ მათაც იგივე უფლებები აქვთ რაც სხვებს - გადაადგილდნენ და იცხოვრონ საკუთარი ბინების მიღმა რამე სახის შევიწროების გარეშე.

პოლიციის II განყოფილების ოფიცერთან ი.მ. შეთანხმებულ იქნა, რომ უბანზე პასუხისმგებელი პოლიცია მომეტებულ ყურადღებას მიაქცევდა და

განხორციელებდა უფრო ხშირ პატრულირებას მოცემულ ქუჩაზე რათა დადგენილიყო შევიწროებაში დამნაშავეთა ვინაობა.

2009 წლის 14 ივლისს განხორციელდა ოჯახში ვიზიტი, შინ მხოლოდ დალიბორი გახლდათ. მან არ იცოდა თუ სად იყო მისი დედა და სთქვა რომ ამ ბოლო დროს მას ბავშვები აღარ აწუხებდნენ. დალიბორი ბინაში იყო და შენობის გარშემო ბავშვები არ იყვნენ.

..."

20. 2009 წლის 27 ივლისს ზაგრების მუნიციპალიტეტის სახელმწიფო პროკურატურამ შეატყობინე მეორე მომჩივანს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 331 § 1 მუხლით დასჯადი ძალადობრივი ქმედების ჩამდენნი იყვნენ დ.კ. და ი.მ., რომლებიც გახლდნენ თოთხმეტ წლამდე არასრულწლოვნები და შესაბამისად მათ წინააღმდეგ საქმე ვერ აღიძვრებოდა. მეორე მომჩივანს გაეწია კონსულტაცია და ურჩიეს შეეტანა სარჩელი სამოქალაქო წარმოების გზით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.
21. 2009 წლის 5 სექტემბრის პოლიციის ანგარიშის მიხედვით მოცემულ დღეს მეორე მომჩივანმა დარეკა პოლიციაში 20.40-ზე და იჩივლა პარკში ხმაურის გამო. როდესაც 20.45-ზე პოლიცია მივიდა გამოძახების ადგილზე, მეორე მომჩივანმა უთხრა, რომ ამასობაში ბავშვები უკვე წასულიყვნენ.
22. 2009 წლის 8 სექტემბერს პირველ მომჩივანთან დაკავშირებით შედგენილი სამედიცინო ანგარიში აღნიშნავს, რომ მას მუდმივად ავიწროებდნენ ბავშვები, რომლებმაც მას დაუწვეს ხელები, უყვიროდნენ მას და რომ ხმაურობდნენ მომჩივნების აივნის წინ. ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ პირველი მომჩივანისათვის აუცილებელი გახლდათ დროის გარეთ, ჰაერზე გატარება.
23. 2009 წლის 17 დეკემბრის ანგარიშში სუსედგრადის სოციალური კეთილდღეობის ცენტრი მიუთითებს, რომ ისინი გაესაუბრნენ ი.მ.-ს და მის დედას. იმის გამო, რომ ი.მ.-მ გამოთქვა წუხილი 2009 წლის 4 აპრილის ინციდენტის გამო, სხვა ზომების მიღების საჭიროება აღარ არსებობდა.
24. 2009 წლის სექტემბერში, სასამართლოსათვის უცნობ დღეს, ა.კ. დაწყებითი სკოლის დირექტორმა წერილი გაუგზავნა მშობლებს და შეატყობინა, რომ მათ სამეზობლოში ცხოვრობდა დალიბორი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდა კაცი, რომელიც ხშირად იყო სკოლის მოსწავლეების მიერ შევიწროების ობიექტი. მან ცალსახად აღნიშნა, რომ ბავშვებმა აღიარეს "რამდენიმე სასტიკი ქმედება" მის მიმართ, მათ შორის შეურაცმყოფელი კომენტარები, ცუდი სიტყვები და გინება, პროვოკაციული საქციელი, ბურთის წართმევა და ხელების დაწვა სიგარეტით. დირექტორმა თხოვა მშობლებს დალაპარაკებოდნენ საკუთარ შვილებს და გაეფრთხილებინათ ამგვარი საქციელის შესაძლო შედეგების შესახებ.

25. 2009 წლის 30 სექტემბერს ა.კ. დაწყებით სკოლაში ჩატარებული მშობლების-მასწავლებლების შეხვედრის წერილობითი ანგარიშის შესაბამისი ნაწილი აღნიშნავს შემდეგს:

"...

ახალი სასწავლო წლის დასაწყისში გამართულ მშობლების-მასწავლებლების ყოველ შეხვედრაზე ჩვენ მშობლების ყურადღებას მივაპყრობთ ხოლმე ახალგაზრდა კაცზე, რომელიც სკოლასთან ახლოს ცხოვრობს, განსაკუთრებულ მოპყრობას საჭიროებს და რომელსაც ჩვენი სკოლის მოსწავლეები ავიწროებენ, უმეტესწილად სიტყვიერად და ხანდახან ფიზიკურადაც. მისი დედა დახმარებას ხშირად ითხოვს სკოლის თანამშრომლებისაგან, სოციალური კეთილდღეობის ცენტრისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ომბუდსმენისაგან, რომლებიც ასევე ჩართულები არიან მოცემულ საქმეში. მშობლებს ვთხოვეთ ესაუბრათ თავიანთ შვილებთან, დახმარებოდნენ მათ გაეცნობიერებინათ განსხვავებების არსებობა, მათი მიღება და მშვიდობიანი თანაცხოვრების შესაძლებლობა.

შეხვედრაზე მყოფმა მშობლებმაც გააკეთეს კომენტარი მოცემულ საკითხზე. ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე კაცი ხანდახან აგრესიული იყო, რომ მიდიოდა გოგონებთან ისე, როგორც არ უნდა მისულიყო და რომ გოგონებს მისი ეშინოდათ და ცდილობდნენ მორიდებოდნენ იმ ადგილს სადაც ის იმყოფებოდა. ზოგმა ასევე აღნიშნა, რომ იგი ხალხში არ უნდა იყოს და დროს მის შესაბამის პირობებში უნდა ატარებდეს ან პარკში იყოს მეურვის მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ. დირექტორმა ჩაინიშნა ყველა კომენტარი და პირობა მისცა, რომ შეეხმიანებოდა შესაბამის სოციალური კეთილდღეობის ცენტრს.

..."

26. 2009 წლის 1 ოქტომბერს მომჩივნების ადვოკატმა წერილობითი საჩივარი გაუგზავნა ზაგრების მუნიციპალიტეტის სახელმწიფო პროკურატურას. მან აღნიშნა, რომ მისი კლიენტები გახლდნენ სერბული წარმოშობის ხორვატიის ორი მოქალაქე, დედა და მისი ვაჟი, რომელიც დაავადებული გახლდათ გონებრივი და ფიზიკური ჩამორჩენით. მან განმარტა, რომ მისი კლიენტები ცხოვრობდნენ ა.კ. დაწყებითი სკოლიდან დაახლოებით 70 მეტრში და რომ მუდმივად ექვემდებარებოდნენ სკოლის მოსწავლეების მხრიდან შევიწროებას, დღის ყველა მონაკვეთში და განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ბავშვები ბრუნდებოდნენ სკოლიდან ჯგუფ-ჯგუფად, მოგვიანებით შუადღეზე და საღამოს, იკრიბებოდნენ მომჩივანთა აივნის წინ მდებარე სკამის ირგვლივ მშობლების ზედამხედველობის გარეშე. მან ასევე მიუთითა, რომ აღნიშნული შევიწროება უკვე გრძელდებოდა დაახლოებით ოთხი წლის განმავლობაში და მოტივირებული იყო მომჩივნების სერბული წარმოშობითა და პირველი მომჩივნის შეზღუდული შესაძლებლობით. ათიდან თოთხმეტ წლამდე ბავშვთა ჯგუფი ყოველ დღე მიდიოდა მომჩივნების საცხოვრებელი სახლის წინ,

გაიძახოდნენ ცუდ სიტყვებს, იხსენიებდნენ სახელით და აუგად. ისინი ამასთანავე შეურაცმყოფელ ფრაზებს წერდნენ ტროტურაზე შენობის წინ.

ადვოკატმა შემდგომ აღწერა 2009 წლის 4 აპრილის შემთხვევა. დაეფუძნა რა კონვენციის მე-8 და მე-13 მუხლებს, იგი ჩიოდა, რომ ხორვატიის სამართლებრივი სისტემა არ აწესებდა ეფექტიანი/ქმედითი სამართლებრივი დაცვის საშუალებას ბავშვების მხრიდან განხორციელებული ძალადობრივი ქმედებებისაგან დასაცავად.

მან ასევე აღწერა 2009 წლის 5 და 7 სექტემბრის შემთხვევები, როდესაც ბავშვთა ჯგუფმა შეურაცყოფა მიაყენა პირველ მომჩივანს და, 7 სექტემბერს, წაართვეს ბურთი. 2009 წლის 10 სექტემბერს ბიჭების ჯგუფმა მოშარდა მომჩივნების სახლის კარის ზღურბლზე. 2009 წლის 14 სექტემბერს დაახლოებით თოთხმეტმა მოსწავლემ მეოთხე და მეხუთე კლასებიდან ხელი ჰკრეს პირველ მომჩივანს, შეურაცყვეს იგი და წაართვეს ბურთი. მეორე დღეს ბიჭი დალიბორს შეურაცმყოფელ სიტყვებს ეძახდა.

იგი ასევე აღნიშნავდა, რომ მინიმუმ ათ სხვადასხვა დროს ბავშვები ფიზიკურად დაესხნენ თავს პირველ მომჩივანს და ხშირად აფურთხებდნენ მას. 2008 წლის 31 ივლისს ბავშვებმა დააზიანეს მომჩივნების აივანი და გაანადგურეს იქ დარგული ყვავილები, ესროლეს ქვები და. რამდენიმე დღის შემდეგ მათ შოკოლადის რძის ყუთი გადაადგეს აივანზე.

მეორე მომჩივანმა შევიწროების შესახებ განაცხადა სოციალურ სამსახურებში, პოლიციაში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ომბუდსმენტთან და სკოლის მმართველობასთან. მიუხედავად ამ უკანასკნელთა კეთილი ნებისა, მომჩივნების შევიწროება არ დასრულებულა.

27. 2009 წლის 7 ოქტომბერს პირველ მომჩივანზე შედგენილი სამედიცინო ანგარიში აღნიშნავს, რომ იგი მუდმივად ექვემდებარება შევიწროებას ბავშვების მხრიდან.
28. პირველ მომჩივანთან დაკავშირებით 2009 წლის 9 ნოემბერს შედგენილი სამედიცინო ანგარიში აღნიშნავს, რომ მას რამდენიმე დღის წინ თავს დაესხნენ ბავშვები და ძალიან გააბრახეს იგი. რეკომენდირებული იყო ფსიქოთერაპია.
29. 2009 წლის 14 დეკემბერს პირველ მომჩივანზე შედგენილი სამედიცინო ანგარიში აღნიშნავს, რომ "ყველა სასტიკად ესროდა მას გუნდებს", რამაც შეაშინა იგი.
30. 2010 წლის 14 იანვარს პირველ მომჩივანზე შედგენილი სამედიცინო ანგარიში მიუთითებს, რომ პირველი მომჩივანი განიცდიდა მუდმივ ღელვას და ჰქონდა შეგრძნება, რომ იღვენებოდა, რადგან "არაფერი გაკეთებულა რათა მოგვარებულიყო ვითარება".
31. 2010 წლის 19 მარტის პოლიციის ანგარიში მიუთითებს, რომ მეორე მომჩივანმა დარეკა პოლიციაში მოცემულ დღეს 21.18-ზე "ბავშვებთან პრობლემების" გამო. როდესაც პოლიცია მივიდა 21.25-ზე, მეორე მომჩივანმა მათ განუცხადა, რომ ბავშვები ბურთით თამაშობდნენ პარკში და მოარტყეს ბურთი ფანჯარას და გაიქცნენ.
32. 2010 წლის 11 აპრილს პირველ მომჩივანთან დაკავშირებით შედგენილი სამედიცინო ანგარიში აღნიშნავს, რომ პირველ მომჩივანს თავს დაესხნენ ბავშვები და მოარტყეს ბურთი ცხვირში.

33. მომჩივნები ამტკიცებენ, რომ 2010 წლის 13 მაისს ბავშვთა ჯგუფმა, მათ შორის ბიჭმა პ.-მ, ხელი ჰკრა პირველ მომჩივანს და მიაჯახა რკინის ღობეს პარკში. იგი დაეცა და დაარტყა თავი და მარჯვენა ფეხი. იგი დიზორიენტირებული და არაკომუნიკაბელური იყო სამი დღის განმავლობაში. იმავე დღის სამედიცინო დოკუმენტები აღნიშნავენ, რომ პირველ მომჩივანს განუვითარდა მარჯვენა ფეხზე შეშუპება და შუბლის მარცხენა მხარეს კი კანი დაუზიანდა. მას არ შეეძლო სიარული ხუთ დღის განმავლობაში და მეორე მომჩივანს მოუწია სპეციალური სავარძლის თხოვება. სამედიცინო ანგარიში ასევე აღნიშნავს, რომ პირველმა მომჩივანმა დააბიჯა არასწორ ადგილას და დაიჭიმა კოჭი და ასევე დაარტყა თავი.
34. 2010 წლის 14 მაისს მეორე მომჩივანმა იჩივლა პოლიციაში მასზედ, რომ 2010 წლის 13 მაისს ბიჭმა პ.ბ.-მ ხელი ჰკრა პირველ მომჩივანს, მიაჯახა კედელს და წაართვა ბურთი.
35. 2010 წლის 20 მაისს მომჩივნების ადვოკატმა მისწერა ზაგრების მუნიციპალიტეტის სახელმწიფო პროკურატურას, სადაც ჩიოდა, რომ 2009 წლის სექტემბერში მის მიერ გაგზავნილი წერილის შემდეგ ადგილი ჰქონდა ძალადობის შემდგომ ფაქტებსა და შევიწროებას მომჩივნების მისამართით. წერილის შესაბამისი ნაწილი აღნიშნავს შემდეგს:

" ...

2009 წლის 5 ნოემბერს ორმა ბიჭმა, მათ შორის ერთ-ერთი გახლდათ პ., სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენა პირველ მომჩივანს, რითაც შეაშინა იგი.

მეორე მომჩივანმა აღნიშნული ინციდენტის შესახებ შეატყობინა სკოლის მრჩეველს, თუმცა მისგან პასუხი არ მიუღია.

2009 წლის 14, 18 და 21 დეკემბერს ბავშვთა ჯგუფმა თოვლი დაუშინა მომჩივნების ფანჯარას და ერთ-ერთი ასეთი შემთხვევისას სრულად გაათოვლიან აივანი.

2009 წლის 15 დეკემბერს ბავშვთა ჯგუფმა სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენა პირველ მომჩივანს ქუჩაში. 2010 წლის 22 თებერვალს მეორე მომჩივანი დაიბარა სოციალურმა მუშაკმა სუსედგრადის სოციალური კეთილდღეობის ცენტრიდან, ჯ.ს.-მ, რომელმაც უთხრა მას, რომ ერთადერთი გამოსავალი გახლდათ სამოქალაქო სარჩელის შეტანა.

2010 წლის 19 მარტს ბავშვები განაგრძობდნენ ბურთის სროლას მომჩივნების ფანჯრებზე, რის შესახებაც პოლიცია შეტყობინებულ იქნა. 2010 წლის 20 მარტს, მაშინ როდესაც პირველი მომჩივანი ავტობუსით მგზავრობდა, ბავშვთა ჯგუფმა დაიძახა მისი სახელი, რამაც იგი გააბრაზა.

2009 წლის 10 აპრილს ბიჭმა, სახელად რ., პირველ მომჩივანს ცხვირში ესროლა ბურთი, რამაც გამოიწვია მისი დიზორიენტირება და მიაყენა ტკივილი. მეორე მომჩივანმა აღნიშნულის შესახებ შეატყობინა პოლიციას. პოლიცია მას გაესაუბრა ორი საათის განმავლობაში და გამოხატა წუხილი აღნიშნული ფაქტის შესახებ, თუმცა ამასთანავე

შეატყობინა მეორე მომჩივანს, რომ მათ არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ, რადგან ნებისმიერი მოძიება დაადასტურებდა, რომ ბავშვები მხოლოდ ხუმრობდნენ.

2010 წლის 13 მაისს ბავშვთა ჯგუფმა, მათ შორის პ.-მაც, ხელი ჰკრა პირველ მომჩივანს და მიაჯახა რკინის ღობეს პარკში. იგი დაეცა და დაარტყა თავი და მარჯვენა ფეხი. იგი დიზორიენტირებული და უკომუნიკაციო გახლდათ სამი დღის განმავლობაში.

2010 წლის 18 მაისს, როდესაც პირველი მომჩივანი იჯდა საქანელაზე, ბავშვების ჯგუფი მიუახლოვდა მას, უჩვენეს უზრდელი ნიშნები და უთხრეს რომ იგი სულელი იყო.

36. იმავე დღეს ადვოკატმა იჩვლა მომჩივნების შევიწროების შესახებ ბავშვთა ომბუდსმენთან და სთხოვა მას რჩევა.
37. მომჩივნები მიუთითებენ, რომ 2010 წლის 24 მაისს ბიჭების ჯგუფმა თავი მიარტყმევინა პირველ მომჩივანს პარკში არსებულ რკინის ღობეზე და უთხრა, რომ მოცემული ქმედება ესაიამოვნათ. პირველ მომჩივანთან დაკავშირებით იმავე დღეს შედგენილი სამედიცინო ანგარიში აღნიშნავს, რომ იგი მიანარცხეს რკინის ღობეს და რომ მან მიარტყა თავი.
38. 2010 წლის 25 მაისს ზაგრების მუნიციპალიტეტის სახელმწიფო პროკურატურამ შეატყობინა მომჩივნების ადვოკატს, რომ მას მოცემულ საკითხზე იურისდიქცია არ გააჩნდა, რადგან ბავშვები არ ფლობდნენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.
39. 2010 წლის 26 მაისს ა.კ. დაწყებითი სკოლის დირექტორმა შეატყობინა მომჩივნების ადვოკატს, რომ სკოლის ადმინისტრაციამ მიიღო ყველა მათი აზრით შესაფერისი ზომა, ისეთი როგორიცაა შესაბამის მოსწავლეებთან საუბარი და ინფორმაციის მიწოდება ყველა მშობელთა-მასწავლებელთა შეხვედრაზე მომჩივნების პრობლემის შესახებ მოცემულ საკითხზე.
40. 2010 წლის 31 მაისს ბავშვთა ომბუდსმენმა შეატყობინა მომჩივნების ადვოკატს, რომ მას ამ საქმეზე იურისდიქცია არ გააჩნდა.
41. 2010 წლის 29 ივნისს პირველ მომჩივანზე შედგენილი სამედიცინო ანგარიში აღნიშნავდა, რომ იგი მუდმივად ექვემდებარება თავდასხმას სამეზობლოში ბავშვების მხრიდან.
42. 2010 წლის 29 ივნისს, 25 ოქტომბერსა და 24 ნოემბერს, ისევე როგორც 2011 წლის 9 თებერვალს შედგენილი სამედიცინო ანგარიშები აღიშნავენ, რომ პირველი მომჩივანი მუდმივად ექვემდებარებოდა თავდასხმებს სამეზობლოში ბავშვებისაგან.
43. 2010 წლის 1 ივლისს პოლიციამ დაკითხა პ.ბ. მოსწავლე ა.კ. დაწყებითი სკოლიდან 2010 წლის 13 და 14 მაისის ინციდენტების შესახებ, სადაც მან უარყო რაიმე კავშირი მოცემულ შემთხვევებთან.
44. მომჩივნები აცხადებენ, რომ 2010 წლის 13 ივლისს, 21.00-ზე ოთხმა ბიჭმა და ერთმა გოგომ ხმამაღლა და განმეორებით გამოთქვეს კომენტარების მომჩივნების ფანჯრის წინ. როდესაც მეორე მომჩივანმა სთხოვა მათ ჩუმად ყოფილიყვნენ, მათ

პროვოკაციულად უპასუხეს, სერბული აქცენტით, რითაც პირდაპირ გაუსვეს ხაზი მომჩივნების სერბულ წარმოშობას, შემდეგ დააყოლეს "პოლიციას დაურეკე, ჩვენ არ გვეშინია (*zovi bre policiju, mi se ne bojimo*)". მეორე მომჩივანმა მოცემული შემთხვევის შესახებ 2010 წლის 14 ივლისს შეატყობინა ქ-ნ ჯ.ს.-ს, სოციალურ მუშაკს სუსედგრადის სოციალური კეთილდღეობის ცენტრიდან.

45. 2010 წლის 19 ივლისს სუსედგრადის სოციალური კეთილდღეობის ცენტრმა დაკითხა ვ.კ. რომელიც ცხოვრობდა იგივე შენობაში სადაც მომჩივნები. მან უარყო მომჩივნების შევიწროებასთან რაიმე კავშირი. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ბავშვები და ალკოჰოლიკები ხშირად გროვდებოდნენ მათი შენობის მოპირდაპირედ მდებარე სკამზე და გამოსცემდნენ ხმამაღალ, მყვირალა ხმებს, რაც მის ოჯახსაც აწუხებდა.
46. 2010 წლის 2 აგვისტოს სუსედგრადის სოციალური კეთილდღეობის ცენტრმა შეატყობინა პოლიციას, რომ მეორე მომჩივანმა იჩივლა პირველი მომჩივნის მიმართ განხორციელებული განგრძობადი შევიწროებისა და ძალადობის შესახებ. პოლიციას სთხოვეს შესაბამისი ზომების მიღება.
47. 2010 წლის 26 აგვისტოს პოლიციამ დაკითხა ზ.ბ., მოსწავლე ა.კ. დაწყებითი სკოლიდან, რომელმაც უარყო ნებისმიერი კავშირი პირველი მომჩივნის შევიწროებასთან.
48. 2010 წლის 27 აგვისტოს მეორე მომჩივანმა თხოვნით მიმართა ზაგრების მუნიციპალიტეტს აეღოთ ის ხსის სკამი, რომელიც იდგა მათი ფანჯრის მოპირდაპირედ მხარეს.
49. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ 2010 წლის 31 აგვისტოს, დაახლოებით 15.00-ზე, როდესაც ისინი შინ ბრუნდებოდნენ მაღაზიიდან, მათთვის ნაცნობმა ბიჭმა მ.-მ ველოსიპედით ჩაიქროლა მათ გვერდით და შეურაცმყოფელი სიტყვები დაიძახა პირველი მომჩივნის მისამართით, *inter alia*, "დალიბორი არის უძლური". პირველი მომჩივანი უკიდურესად განერვიულდა და მიიღო სტრესი.
50. მომჩივნები აცხადებენ, რომ 2010 წლის 1 სექტემბერს, 18.45-ზე სამი ბიჭი ველოსიპედით მივიდა მათი ფანჯრის წინ და დაიწყეს ნაგვის სროლა და ყვირილი. 19.20-ზე უფრო მეტი ბავშვი შეიკრიბა მომჩივნების ფანჯრის წინ მდებარე ხის სკამის ირგვლივ და ურტყამდნენ ახლომდებარე რკინის ღობეს, რითაც გამოსცემდნენ ხმაურს. მათ ასევე ესროლეს ქვები მომჩივნების ფანჯარას და ხმამაღლა გამოთქვამდნენ უცენზურო კომენტარებს. 22.03-ზე მეორე მომჩივანმა გამოიძახა პოლიცია.იმის გამო რომ პოლიცია არ მივიდა, მან მათ ისევ დაურეკა 22.28-ზე. პოლიციამ განაცხადა, რომ ისინი მივიდოდნენ, მაგრამ სხვა გამოძახებებიც ჰქონდათ. პოლიცია მივიდა 22.32-ზე და მოუწოდა ბავშვებს რამდენიმე მეტრით დაშორებულიყვნენ მომჩივნების ფანჯარას. მათ არც კი უცდიათ ბავშვების იდენტიფიცირება. იმავე დღით დათარიღებული პოლიციის ანგარიში მიუთითებს, რომ 21.21-ზე მეორე მომჩივანმა დაურეკა პოლიციას და იჩივლა პარკში ხმაურის გამო. 22.35-ზე მისვლისას პოლიციამ ვერავინ შენიშნა შენობის წინ.

51. მომჩივნები აცხადებენ, რომ 2010 წლის 3 სექტემბერს დაახლოებით ათი ბავშვისაგან შემდგარი ჯგუფი შეგროვდა სკამის გარშემო და გამოსცემდნენ აუტანელ ხმაურს. 22.15-ზე მეორე მომჩივანმა გამოიძახა პოლიცია, რომელიც მოვიდა 22.40-ზე და მოუწოდა ბავშვებს დაშლილიყვნენ, თუმცა, მათი ვინაობის დასადგენად არაფერი მოუმოქმედებია. იმავე დღით დათარიღებული პოლიციის ანგარიში აღნიშნავს, რომ 22.20-ზე მეორე მომჩივანმა გამოიძახა პოლიცია და იჩივლა პარკში ხმაურის შესახებ. როდესაც 22.25-ზე ადგილზე გამოცხადდა პოლიცია, მათ იქ არავინ დახვდათ.
52. მომჩივნები აცხადებენ, რომ 2010 წლის 5 სექტემბერს, დაახლოებით 21 საათზე მათ შენიშნეს ეკლესიიდან დაბრუნებისას, რომ გაურკვეველი თეთრი ნივთიერება იყო ნასროლი მათი ფანჯრისათვის მათსავე არყოფნის დროს. ასევე, რამდენიმე ბავშვი ყვიროდა მათი ფანჯრის ქვეშ. 22 საათზე მეორე მომჩივანმა გამოიძახა პოლიცია. მომჩივნები ასევე აცხადებენ, რომ 2010 წლის 7, 8, 14, 23 და 27 სექტემბერს ბავშვები იკრიბებოდნენ სკამის გარშემო და აუტანლად ხმაურობდნენ.
53. 2010 წლის 23 სექტემბერს პოლიციამ დაკითხა ი.ს., მოსწავლე ა.კ. დაწყებითი სკოლიდან, რომელმაც უარყო მომჩივნის შევიწროებასთან რაიმე კავშირი.
54. მომჩივნები აცხადებენ, რომ 2010 წლის 2 ოქტომბერს სკამის ირგვლივ შეიკრიბა ხუთი ბიჭი და ხმაურობდნენ. 19.40-ზე შვიდმა ბიჭმა ბურთი ესროლა მომჩივნების ფანჯარას და ხმაურობდნენ გვიან ღამემდე. 23.38-ზე მეორე მომჩივანმა გამოიძახა პოლიცია, რომელიც მოვიდა 00.15-ზე და უთხრა ბიჭებს დაეტოვებინათ ტერიტორია, ისე, რომ მათ მიმართ არანაირი შეკითხვა არ დაუსვამთ და არც მათი ვინაობის დადგენა უცდიათ. იმავე დღის პოლიციის ანგარიში აღნიშნავს, რომ პირველმა მომჩივანმა პოლიცია გამოიძახა 23.40-ზე და იჩივლა ხმაურის გამო. როდესაც პოლიცია მივიდა გამოძახების ადგილზე 00.15-ზე მათ იქ არავინ დახვდნიათ.
55. მომჩივნები ასევე აღნიშნავენ, რომ 2010 წლის 4 ოქტომბერს დილის 4 საათზე ისინი გააღვიძა მანქანის სიგნალიზაციამ მათი ფანჯრების ქვემოთ. ხოლო რამდენიმე ბავშვი კი მათი ბინის გარე კედელს ურტყამდა, რითაც გამოსცემდნენ ძალიან დიდ ხმაურს. პირველი მომჩივნის შინაური ცხოველი კურდღელი მოკვდა იმ ღამეს და მან კურდღლის გარდაცვალება დაუკავშირა იმ ღამის მოვლენებს, რამაც ძალიან გააბრაზა იგი. 2010 წლის 15 ოქტომბერს, მომჩივნების არყოფნისას, ვილაცამ იმდენჯერ შეაფურთხა მათი მისაღების ფანჯარას, სანამ იგი სრულად არ დაიფარა ნაფურთხით. 2010 წლის 23 ოქტომბერს, 7, 14 და 19 ნოემბერს ბავშვები იკრიბებოდნენ სკამის ირგვლივ და ხმაურობდნენ.
56. 2010 წლის 17 ნოემბერს ზაგრების მუნიციპალიტეტმა შეატყობინა მეორე მომჩივანს, რომ მისი თხოვნა აივნის წინ მდებარე სკამის დემონტაჟის შესახებ არ დაკმაყოფილდა.
57. მომჩივნები აღნიშნავენ, რომ 2010 წლის 22 ნოემბერს, მაშინ როდესაც ისინი შინ ბრუნდებოდნენ მაღაზიიდან, ბავშვთა ჯგუფმა მათ მიაძახა: "დალიბორ, დალიბორ". პირველი მომჩივანი პარალიზებული იყო შიშისაგან და ჰკითხა დედამისის თუ რატომ არ ანებებდნენ თავს. მეორე მომჩივანმა წერილი მისწერა ხორვატიის პრეზიდენტის ოფისსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ომბუდსმენს მისი ვაჟის

შევიწროების შესახებ და სთხოვა დახმარება სკამის დემონტაჟში. 2010 წლის 5 დეკემბერს დაახლოებით შუაღამეს ბავშვებმა თოვლის გუნდები დაუშინეს მომჩინებლის ფანჯარას, რამაც უკიდურესად შეაშინა პირველი მომჩივანი.

58. 2010 წლის 14 დეკემბერს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ომბუდსმენმა ურჩია ზაგრების მუნიციპალიტეტს მოეხდინა სკამის დემონტაჟი. 2011 წლის თებერვალში სკამი აღებულ იქნა. მომჩივნები აცხადებენ, რომ იმავე დღეს ბავშვებმა გაანადგურეს მათი ფანჯრის ქვეშ მდებარე მეტალის კონტეინერი, სადაც განთავსებულია გაზის მრიცხველები.
59. მომჩივნები აცხადებენ, რომ შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა: 2011 წლის 5 თებერვლს ბავშვთა ჯგუფმა პროვოკაციული შეძახილებით მიმართა მეორე მომჩივანს ქუჩაში, იყენებდნენ რა სერბულ დიალექტს ("De si bre?"). 2011 წლის 8 თებერვალს 18.40-ზე რამდენიმე ბავშვმა დარეკა ზარი მომჩივნების კარზე და გაიქცნენ. 2011 წლის 10 თებერვალს მომჩივნები წავიდნენ დალაქთან და აირჩიეს ირიბი გზა, რათა თავიდან აეცილებინათ ბავშვებთან შეხვედრა. თუმცა, მაინც შემოხვდათ ბავშვების ჯგუფი, რომლებმაც პროვოკაციულად დაუძახეს მათ "დალიბორ!". 2011 წლის 13 თებერვალს 12.30-ზე შვიდი ბიჭი დარბოდა მომჩივნების ბინის ირგვლივ, ურტყამდნენ კედელს, ცოცდებოდნენ მათ აივანზე, იჭყიტებოდნენ ბინაში და ხმამაღლა იცინოდნენ. 21.45-ზე ბიჭების ჯგუფი მომჩივნების ფანჯარასთან მღეროდნენ სიმღერას "ჩვენ ხორვატიელები ვართ".
60. 2011 წლის 9 მარტს შედგენილი სამედიცინო ანგარიში პირველ მომჩივანთან მიმართებაში აღნიშნავს, რომ სტრესის გამო იგი ხშირად იკბენდა ტუჩებსა და მუშტებს და ჰქონდა მარცხენა თვალის კრუნჩხვა და ფსორიაზის სიმპტომები. ანგარიში ასევე მიუთითებდა, რომ იგი ხშირად გახლდათ თავდასხმისა და დაცინვის მსხვერპლი და რომ აუცილებელი გახლდათ მისთვის მშვიდი და მეგობრული გარემოს შექმნა.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

ა. კონსტიტუცია

1. შესაბამისი დებულებები

61. ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუციის (*Ustav Republike Hrvatske*, საკანონმდებლო მაცნე N. 56/1990, 135/1997, 8/1998 (გაერთიანებული ტექსტი), 113/2000, 124/2000 ((გაერთიანებული ტექსტი),), 28/2001 და 41/2001 ((გაერთიანებული ტექსტი),), 55/2001 (შესწორება) და 76/2010) მუხლები აღნიშნავს შემდეგს:

"ხორვატიის რესპუბლიკაში ყველა საგებლობს უფლებებითა და თავისუფლებებით მიუხედავად მათი რასისა, ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსისა, ეროვნებისა თუ სოციალური წარმოშობისა, საკუთრებისა, დაბადებისა, განათლებისა, სოციალური სტატუსისა თუ სხვა მახასიათებლებისა.

კანონის წინაშე ყველა თანასწორია."

მუხლი 21

" ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება.

..."

მუხლი 23

"არავინ არ უნდა დაექვემდებაროს რაიმე ფორმით არასათანადო მოპყრობას...

..."

მუხლი 35

" ყველა სარგებლობს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების, პატივის, რეპუტაციისა და ღირსების პატივისცემითა და სამართლებრივი დაცვის უფლებით."

მუხლი 140

"ძალაში მყოფი საერთაშორისო შეთანხმებანი, რომელიც დაიდო და რატიფიცირებულ იქნა კონსტიტუციის შესაბამისად და საჯაროდ ხელმისაწვდომი შეიქნა, წარმოადგენს ხორვატიის რესპუბლიკის შიდა სამართლებრივი წესრიგის შემადგენელ ნაწილს, რომელსაც უპირატესი იურიდიული ძალა ენიჭება ეროვნულ კანონებთან მიმართებაში..."

2. საკონსტიტუციო სასამართლოს იურისპრუდენცია

62. 1994 წლის 14 ნოემბრის N. U-I-892/1994 გადაწყვეტილებაში (საკანონმდებლო მაცნე no. 83/1994) დ1995 წლის 20 თებერვლის N U-I-130/1995 გადაწყვეტილებაში (საკანონმდებლო მაცნე no. 112/1995) საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციისა და მისი ოქმებით დადგენილი უფლებები უნდა განხილულიყო კონსტიტუციურ უფლებებად, რომელსაც იგივე იურიდიული ძალა ენიჭებათ რაც კონსტიტუციის დებულებებს.

ბ. სისხლის სამართლის კოდექსი

63. სისხლის სამართლის კოდექსის (*Kazneni zakon*, საკანონმდებლო მაცნე no. 110/1997) შესაბამისი დებულებების მიხედვით:

მუხლი 10

"სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ გამოიყენება იმ ბავშვების მიმართ, რომელთაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის ჯერ არ შესრულებიათ თოთხმეტი წელი."

გ. წვრილმან სამართალდარღვევათა შესახებ კანონი

64. წვრილმან სამართალდარღვევათა შესახებ კანონის (*Prekršajni zakon*, საკანონმდებლო მაცნე no 107/2007) შესაბამისი ნაწილის მიხედვით:

მუხლი 9

"(1) პირი, რომელსაც წვრილმანი სამართალდარღვევის ჩადენის დროისათვის არ შესრულებია თოთხმეტი წელი, არ არის პასუხისმგებელი წვრილმან სამართალდარღვევაზე.

(2) როდესაც მოცემული მუხლის 1 პუნქტში ხსენებული პირი ხშირად მოქმედებს იმგვარად, რომ მისი საქციელი აღწევს სერიოზული წვრილმანი სამართალდარღვევის ზღვარს, შესაბამისი სახელმწიფო ორგანო ვალდებულია შეატყობინოს მოცემული პირის მშობლებს ან მეურვეებს და შესაბამის სოციალური კეთილდღეობის ცენტრს პირის საქციელის შესახებ.

(3) მოცემული კანონის 1 პუნქტში ხსენებული პირის მშობელი დაისჯება ამ პირის მიერ ჩადენილი წვრილმანი სამართალდარღვევისათვის, როდესაც ჩადენილი წვრილმანი სამართალდარღვევა პირდაპირ კავშირშია მოცემული პირის მიერ ზედამხედველობის განუხორციელებლობასთან ..."

დ. ადმინისტრაციულ დავათა შესახებ კანონი

65. ადმინისტრაციულ დავათა შესახებ კანონი (*Zakon o upravnim sporovima*, ყოფილი იუგოსლავიის სოციალისტური რესპუბლიკის ოფიციალური მაცნე no. 4/1977, და ხორვატიის რესპუბლიკის საკანონმდებლო მაცნე nos. 53/1991, 9/1992 and 77/1992 – ძალაში 2011 წლის 31 დეკემბრამდე) შესაბამის ნაწილში აღნიშნავს შემდეგს:

მუხლი 66

" კონსტიტუციის დაცული უფლებისა თუ თავისუფლების დაცვის მოთხოვნა ... თუკი აღნიშნული უფლება ან თავისუფლება დარღვეულ იქნა საბოლოო ინდივიდუალური აქტით (მაგ. გადაწყვეტილებით), და თუკი სხვა სამართლებრივი დაცვა არ არის უზრუნველყოფილი, გადაწყვეტილი იქნება (ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ, *mutatis mutandis*, ამ კანონის დებულებების გამოყენებით."

66. მუხლები 67-76 აწესებენ სპეციალურ პროცედურას კონსტიტუციურად გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების საჯარო მოხელეების მხრიდან უკანონო ფაქტობრივი (ფიზიკური) ქმედებებისაგან დასაცავად, მაშინ როდესაც ხელმისაწვდომი არ არის სხვა სამართლებრივი დაცვა. ეროვნული სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით, უკანონო "მოქმედებების" წინააღმდეგ დაცვა ასევე მოიცავს უმოქმედობასაც (მაგლითად, ადმინისტრაციული სასამართლოს 1989 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება Us-2099/89 და უზენაესი სასამართლოს 1993 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება Gž-9/1993, სადაც აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მათ მიერ გამოცემული აღსრულების ბრძანების შეუსრულებლობა წარმოადგენს ადმინისტრაციული დავების შესახებ კანონის 67-ე მუხლით განსაზღვრულ "უკანონო მოქმედებას").
67. 67-ე მუხლის მიხედვით, აღნიშნული სამართალწარმოება უნდა დაიწყოს "უკანონო მოქმედების წინააღმდეგ" სარჩელის შეტანით (*tužba za zaštitu od nezakonite radnje*) შესაბამის მუნიციპალურ სასამართლოში. სარჩელი შეტანილი უნდა იყოს იმ საჯარო ორგანოს წინააღმდეგ რომელსაც მიეკუთვნება ფაქტობრივი მოქმედება (ან უმოქმედობა) (მოპასუხე).
68. 72-ე მუხლის მიხედვით სარჩელი უნდა გადაეცეს შესაბამის საჯარო დაწესებულებას პასუხის გასაცემად სამართალწარმოების განმახორციელებელი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადებში. თუმცა, გადაწყვეტილება შესაძლებელია მიღებულ იქნას ხსენებული პასუხის გარეშე, როდესაც სარჩელში მოყვანილი დებულებები იძლევა გადაწყვეტილების მისაღებად საკმარის და საფუძვლიან ბაზას.
69. 73-ე მუხლი აღნიშნავს, რომ სასამართლო საქმის არსებით მხარეზე იღებს გადაწყვეტილებას. თუკი იგი მომჩივნის სასარგებლოდაა გამოტანილი, სასამართლო მოუწოდებს მოპასუხეს შეწყვიტოს უკანონო საქმეაღიარება და, საჭიროების შემთხვევაში, აწესებს *restitutio in integrum*-ს.
70. 74-ე მუხლის მიხედვით "უკანონო მოქმედების შედეგად წარმოდგენილი საჩივრის" განხილვისას სასამართლომ უნდა გამოიყენოს *mutatis mutandis* სამოქალაქო საპროცესო კანონის დებულებანი.

ე. ვალდებულებითი კანონი

71. ვალდებულებითი კანონის შესაბამისი ნაწილი (*Zakon o obveznim odnosima*, საკანონმდებლო მაცნე, nos. 35/2005 and 41/2008 – “2006 ვალდებულებითი კანონი”), რომელიც ძალაში შევიდა 2006 წლის 1 იანვარს და ამით ჩაანაცვლა 1978 წლის ვალდებულებითი კანონი, აღნიშნავს შემდეგს:

მუხლი 19

"(1) ყოველ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს აქვს უფლება ისარგებლოს მისი პიროვნობის უფლებების დაცვით (*prava osobnosti*) კანონით დადგენილი პირობებით.

(2) პიროვნობის უფლება მოცემული კანონის მიზნებისათვის მოიცავს სიცოცხლის ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის, რეპუტაციის, პატივის, ღირსების, სახელის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის, თავისუფლების და სხვა უფლებებს.

(3) იურიდიულ პირს გააჩნია პიროვნობის ყველა ზემოთხსენებული უფლება - გარდა იმისა, რომელიც დაკავშირებულია ფიზიკური პირის ბიოლოგიურ თავისებურებასთან - კერძოდ, უფლება რეპუტაციასა და კარგ სახელზე, ღირსებაზე, სახელზე ან კომპანიის სახელზე, კომერციული საიდუმლოება, სამეწარმეო თავისუფლება და სხვა."

მუხლი 1046

"ზიანი წარმოადგენს ... პირის ღირსების პატივისცემის უფლების დარღვევას (მორალური ზიანი)"

პიროვნობის უფლებების დარღვევის შეწყვეტის მოთხოვნა

მუხლი 1048

"ყოველი პირი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს ან სხვა კომპეტენტურ ორგანოს თხოვნით დაადგინოს იმ მოქმედების შეწყვეტა, რომელიც არღვევს მისი პიროვნობის უფლებებს და აღმოფხვრას მისი შედეგები."

შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა

72. იმის განსაზღვრისას, თუ რომელი უფლებები, გარდა ვალდებულებათა შესახებ კანონის მე-19 მუხლში ჩამოთვლილისა, უნდა იქნას მიჩნეული პიროვნობის უფლებებად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოცემული უფლებები ხორვატიის სასამართლოების მიერ განმარტებული იქნა როგორც პიროვნობის უფლების შემადგენელი ნაწილები: სიცოცხლის უფლება, რეპუტაციისა და ღირსების უფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, წერილებისა და

პერსონალური ჩანაწერების საიდუმლოების უფლება, პერსონალური იდენტობის უფლება (კერძოდ, გამოსახულების, ხმის და სახელის უფლებები) და ავტორის მორალური უფლებები.

73. საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 აპრილის N. U-III-1437/2007 გადაწყვეტილების შესაბამისი ნაწილი, რომელიც ეხება პიროვნული ხელშეუხებლობის პატივისცემის უფლებისათვის კომპენსაციას აღნიშნავს შემდეგს:

"...

სამოქალაქო ვალდებულებათა შესახებ კანონის მუხლი 1046 განმარტავს მორალურ ზიანს როგორც პირის პირადი ხელშეუხებლობის პატივისცემის უფლების დარღვევას. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირის პირადი ხელშეუხებლობის ყოველი დარღვევა უტოლდება მორალურ ზიანს.

სამოქალაქო ვალდებულებების შესახებ კანონის მუხლი 19(2) განმარტავს პირის პირად ხელშეუხებლობას მოცემული კანონის მიზნებისათვის როგორც: სიცოცხლის, ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის, რეპუტაციის, ღირსების, პატივისა და სახელის პატივისცემის, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის, თავისუფლების უფლებასა და სხვა ასპექტებს.

... დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ საქმეში ადგილი ჰქონდა ადამიანური, კონსტიტუციური და პერსონალური ღირებულებების დარღვევას, რადგან მომჩივანი განთავსებული ციხის პირობებში, რომელიც არ შეესაბამებოდა საპატიმრო სასჯელის აღსრულების შესახებ კანონით დადგენილ სტანდარტებს ისევე როგორც კონსტიტუციის 25 § 1 მუხლით დადგენილ სამართლებრივ სტანდარტს. აღნიშნულის გამო, სასამართლო ვალდებულია მიაკუთვნოს კომპენსაცია მომჩივანის ღირსების დარღვევისათვის.

..."

ვ. დისკრიმინაციის პრევენციის შესახებ კანონი

74. დისკრიმინაციის პრევენციის შესახებ კანონის შესაბამისი ნაწილი (*Zakon o suzbijanju diskriminacije*, საკანონმდებლო მაცნე no. 85/2008) აღნიშნავს შემდეგს:

მუხლი 1

"(1) მოცემული კანონი უზრუნველყოფს თანასწორობის, როგორც ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობის უდიდესი ღირებულების დაცვასა და ხელის

შეწყობას; ქმნის თანასწორი საშუალებების პირობებს და არეგულირებს რასის, ეთნიკური წარმოშობისა თუ კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნებისა თუ სოციალური წარმოშობის, სიმდიდრის, პროფკავშირების წევრობის, განათლების, სოციალური სტატუსის, ოჯახური მდგომარეობის, ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, გენეტიკური მემკვიდრეობის, გენდერული იდენტობის, გამოხატვისა თუ სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციისაგან დაცვას.

(2) მოცემული კანონის მიზნებისათვის დისკრიმინაცია ნიშნავს ნებისმიერი პირის, ისევე როგორც მისი ახლო ნათესავის, ჩაყენებას არახელსაყრელ დმგომარეობაში მოცემული მუხლის 1 ნაწილში მითითებული რომელიმე საფუძველის გამო.

..."

მუხლი 8

"მოცემული კანონი გამოიყენება ყველა სახელმწიფო ორგანოს ... იურიდიული პირისა და ფიზიკური პირთან მიმართებაში..."

მუხლი 16

"ნებისმიერი პირი, რომელიც მიიჩნევს, რომ დისკრიმინაციის გამო მისი უფლებები დარღვეულ იქნა, უფლებამოსილია მოითხოვოს აღნიშნული უფლების დაცვა სამართალწარმოების გზით, სადაც მოცემული უფლების დადგენა იქნება მთავარი საკითხი და ასევე უფლებამოსილია მოითხოვოს დაცვა ცალკე სამართალწარმოების გზით მოცემული კანონის მე-17 მუხლის საფუძველზე."

მუხლი 17

" პირი, რომელიც აცხდებს, რომ მოცემული კანონის დებულებების შესაბამისად წარმოადგენს დისკრიმინაციის მსხვერპლს, უფლებამოსილია იჩვლოს და მოითხოვოს:

1. გადაწყვეტილება მასზედ, რომ მოპასუხემ დაარღვია მომჩივანის უფლება თანასწორ მოპყრობაზე ან რომ მოპასუხის მოქმედებას ან უმოქმედობას შეეძლო გამოწვია მომჩივანის თანასწორი მოპყრობის უფლების დარღვევა (დისკრიმინაციის აღიარების მოთხოვნა);
2. აუკრძალოს (მოპასუხეს) იმ ქმედებების განხორციელება რომელიც არღვევს ან შესაძლოა დაარღვიოს მომჩივანის უფლება თანასწორ მოპყრობაზე ან უბრძანოს

დისკრიმინაციული ზომების ან მისი შედეგების აღმოფხვრა (მოთხოვნა დისკრიმინაციის აკრძალვის ან შეწყვეტის შესახებ);

3. მოცემული კანონით დაცული უფლებების დარღვევით გამოწვეული ზიანისათვის მატერიალური და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის მოთხოვნა (ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა);

4. მოითხოვოს თანასწორი მოპყრობის უფლების დარღვევის დამდგენი გადაწყვეტილების გამოქვეყნება მედიაში მოპასუხის ხარჯით.

..."

III. ევროპის საბჭოს შესაბამისი დოკუმენტები

ა. მინისტრთა კომიტეტი

75. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2004)10 წვერი სახელმწიფოებისადმი ადამიანის უფლებებისა და გონებრივი აშლილობის მქონე პირთა ღირსების დაცვის შესახებ (მიღებული მინისტრთა კომიტეტის 2004 წლის 22 სექტემბრის მინისტრთა მოადგილეების 896-ე შეხვედრაზე) აღნიშნავს შემდეგს:

"...

ვითვალისწინებთ რა, კერძოდ:

...

- 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და მის გამოყენებას მოცემული კონვენციითვე შექმნილი ორგანოების მიერ;

...

თავი II - ზოგადი დებულებები

მუხლი 3 - დისკრიმინაციის აკრძალვა

1. დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმა გონებრივი აშლილობის საფუძველზე აკრძალულია;

2. წევრ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები რათა აღმოფხვრან გონებრივი აშლილობის საფუძველით გამოწვეული დისკრიმინაცია.

მუხლი 4 - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები

1. გონებრივი აშლილობის მქონე პირებს უნდა მიეცეთ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობის უფლება;
2. მოცემული უფლებებით სარგებლობის ნებისმიერი შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დებულებებს და არ უნდა ეფუძნებოდეს პირის გონებრივი აშლილობის ფაქტს მხოლოდ.

...

მუხლი 7 - გონებრივი აშლილობის მქონე მოწყვლად პირთა დაცვა

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ისეთი მექანიზმების შექმნა, რომელიც დაიცავს გონებრივი აშლილობის მქონე მოწყვლად პირებს, კერძოდ კი მათ რომელთაც არ ხელეწიფებათ პოზიციის გამოხატვა ან მათ, რომელთაც არ ძალუძთ საკუთარი უფლებების დარღვევისათვის წინააღმდეგობის გაწევა.
2. კანონი უნდა აწესებდეს ზომებს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დაიცავს გონებრივი აშლილობის მქონე პირთა ეკონომიკურ ინტერესებს.

..."

76. მინისტრთა კომიტეტის Rec(2006)5 რეკომენდაციის შესაბამისი ნაწილი, მიღებული წევრი სახელმწიფოების მიმართ ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმის ფარგლებში საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისა და სრული ჩართულობის ხელშესაწყობად: 2006-2015 წლებში ევროპაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება (მიღებული მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 5 აპრილს მინისტრთა მოადგილეების 961 შეხვედრის ფარგლებში) აღნიშნავს შემდეგს:

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის გათვალისწინებით (ETS No. 5);

...

3.12. სამოქმედო ხაზი N. 12: სამართლებრივი დაცვა

3.12.1. შესავალი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს გააჩნიათ უფლება კანონის წინაშე სუბიექტუარიალობაზე. როდესაც საჭიროა დახმარება მოცემული უფლების განსახორციელებლად, წევრ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იგი ჯეროვნად იყოს გარანტირებული კანონის მიერ.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები წარმოადგენენ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს, მაგრამ ყოველ მათგანს, მეტნაკლებად, აკავშირებთ საჭიროება დამატებით გარანტიებზე რათა შეძლონ სრულად ისარგებლონ საკუთარი უფლებებით და მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებაში სხვა წევრებთან თანასწორ საფუძველზე.

ცალკეული ყურადღების დათმობის საჭიროება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ვითარებაზე, მათ მიერ სხვებთან თანასწორ საფუძველზე უფლებების განხორციელებისას დადასტურებულია იმ ინიციატივებით, რომელიც მოცემულ სფეროში ხორციელდება ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი უნდა წარმოადგენდეს მთავრობის პოლიტიკის საფუძველს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თანასწორი შესაძლებლობების მინიჭებისას.

სამართლებრივ სისტემებზე წვდომა ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში, მაგრამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ხშირად აწყდებიან რიგ ბარიერებს, მათ შორის ფიზიკურად წვდომის სირთულეების სახით. აღნიშნული საჭიროებს რიგი ზომებისა და პოზიტიური ქმედებების განხორციელებას, მათ შორის ზოგადი ცნობიერების გაზრდის გზით სამართლის სპეციალისტთა შორის შეზღუდული შესაძლებლობების საკითხების ირგვლივ.

3.12.2. მიზნები

- i. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიერ მართლმსაჯულებაზე ეფექტიანი წვდომის უზრუნველყოფა თანასწორ საფუძველზე;
- ii. ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა და მათი სარგებლობის ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თანასწორ საფუძველზე;

77. რეზოლუცია ResAP(2005)1 შესაბამისი ნაწილები, რომელიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ზრდასრულთა და ბავშვთა დაცვას ბოროტგანზრახვისაგან (მიღებული მინისტრთა კომიტეტის მიერ, 2005 წლის 2 თებერვალს მინისტრთა მოადგილეების 913-ე შეხვედრაზე) აღნიშნავს შემდეგს:

"...

I. ბოროტგანზრახვის განმარტება

1. მოცემულ რეზოლუციაში ბოროტგანზრახვა განიმარტება როგორც ნებისმიერი მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც იწვევს მოწყვლადი პირის ადამიანის უფლებების, სამოქალაქო თავისუფლებების, ფიზიკური და გონებრივი ხელშეუვალობის, ღირსებისა და ზოგადი კეთილდღეობის, განზრახ ან გაუფრთხილებელ დარღვევას, მათ შორის სექსუალურ ურთიერთობებსა და ფინანსურ ტრანზაქციებს, რომლებზეც პირს არ ძალუძს ჯეროვანი თანხმობის გამოხატვა ან რომელიც მიზანმიმართულად ექსპლუატაციური ხასიათისაა. მარტივ ბოროტგანზრახვას შესაძლოა ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა:

ა. ფიზიკური ძალადობა, მათ შორის სიკვდილით დასჯა, თავისუფლების აღკვეთა - მათ შორის სახლში გამოკეტვისა და შინიდან არ გაშვების ფორმით - წამლების მომეტებული ან არაჯეროვანი გამოყენება, სამედიცინო ექსპერიმენტების ჩატარება ან ინვაზიური კვლევის ჩატარება ნებართვის გარეშე და ფსიქიატრიული პაციენტების უკანონო დაპატიმრება;

ბ. სექსუალური ბოროტგანზრახვა და ექსპლუატაცია, მათ შორის გაუპატიურება, სექსუალური აგრესია, ღირსების შემლახავი ზეწოლა და გასაჯაროება, პორნოგრაფიასა და პროსტიტუციაში იძულებითი ჩართვა;

გ. ფსიქოლოგიური მოპყრობა და ზიანი, როგორც წესი მოიცავს სიტყვიერ შეურაცხყოფას, შეზღუდვებს, იზოლაციას, უარყოფას, დაშინებას, შევიწროებას, დამცირებას ან დასჯისა თუ მიტოვების მუქარას, ემოციური შანტაჟი, თვითნებობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ზრდასრულის სტატუსზე უარის თქმა და ინფანტილიზაცია, ინდივიდუალურობაზე, სექსუალურობაზე, განათლებასა და წვრთნაზე, დასვენებასა და სპორტზე უარის გაცხადება;

...

3. მოცემული ბოროტგანზრახვები საჭიროებენ პროპორციულ პასუხს - იმგვარს, რომელიც არ უარყოფს შეზღუდული საჭიროების მქონე პირების მიერ გაკეთებულ კანონიერ არჩევანს, არამედ აღიარებს მათ მოწყვლადობასა და ექსპლუატაციას. ტერმინი "ბოროტგანზრახვა" შესაბამისად ეხება ფართო სპექტრის თემებს, რომლებიც მოიცავენ დანაშაულებრივ ქმედებებს, პროფესიული ეთიკის დარღვევებს, შეთანხმებულ სახელმძღვანელო პრინციპების მიღმა ქმედებას ან სერიოზულად არაადეკვატურ ზრუნვას. შედეგად, ბოროტგანზრახვის პრევენციის და მისთვის საპასუხო ზომების გავრცელების არეალი მოიცავს ხელისუფლებისა და მოქმედ პირთა ფართო სპექტრს, მათ შორის პოლიციას, სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემას, მთავრობის ორგანოებს, რომლებიც არეგულირებენ სერვისის მიწოდებასა და პროფესიებს, დაცვით ორგანიზაციებს, ქსელების

გამოყენებასა და პაციენტთა საბჭოებს, ისევე როგორც სერვისის პროვაიდერებსა და მათ დამგეგმავებს.

II. ბოროტგანზრახვისაგან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ზრდასრულთა და ბავშვთა დაცვისაკენ მიმართული პრინციპები და ზომები

1. ადამიანის უფლებების დაცვა

წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება დაიცვან მისი ყველა მოქალაქის ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები დაცულები არიან მინიმუმ იმდენად მაინც რამდენადაც სხვა მოქალაქეები.

წევრ სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ რომ ბოროტგანზრახვა წარმოადგენს ადამიანის უფლებების დარღვევას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები დაცულნი უნდა იყვნენ განზრახი ან/და თავიდან აცილებადი ზიანისაგან იმდენად მაინც, რამდენადაც სხვა მოქალაქეები. რადგანაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ხალხი განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან, უნდა მოხდეს დამატებითი ზომების მიღება მათი უსაფრთხოების დასაცავად.

2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინკლუზია

წევრ სახელმწიფოებმა უნდა გაიაზრონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა როგორც მოქალაქეთა უფლებების დაცვა მათ ქვეყანაში სახელმწიფოს პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

ისინი უნდა ებრძოლონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაციას, ხელი შეუწყონ აქტიური ზომების მიღებას მის აღმოსაფხვრელად და უზრუნველყონ მოცემულ პირთა ჩართვა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

მათ უნდა აღიარონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირს აქვს ღირსება, უფლება ჰქონდეს თანასწორი შესაზლებლობანი, საკუთარი შემოსავალი, განათლება, დასაქმება, სოციალურ ცხოვრებაზე დაშვება და ინტეგრაცია, მათ შორის უფლება ხელმისაწვდომობაზე, ჯანმრთელობის დაცვასა და სამედიცინო და ფუნქციონალურ რეაბილიტაციაზე.

მათ უნდა უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს გარანტირებული აქვთ დაცვა - იმდენად მაინც რამდენადაც სხვა მოქალაქეებს - ყველა ტიპის სერვისების მოხმარებისას.

3. ბოროტგანზრახვის პრევენცია

წევრ სახელმწიფოებმა უნდა გაზარდონ საზოგადოების ინფორმირებულობა, ხელი შეუწყონ ღია დისკუსიებს, განავითარონ ცოდნა და გააუმჯობესონ საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადება.

მათ უნდა მოუწოდონ თანამშრომლობისაკენ ხელისუფლებლებსა და სხვა ორგანიზაციებს რათა განსაზღვრონ ზომები, რომლებიც მოახდენენ ბოროტგანზრახვის პრევენციას, გააუმჯობესებენ ასეთი განზრახვის აღმოჩენასა და მის შესახებ შეტყობინებას და დაეხმარებიან მსხვერპლებს.

მათ უნდა შექმნან, განახორციელონ და მონიტორინგი გაუწიონ კანონმდებლობას, რომელიც ეხება პროფესიონალებსა და ზრუნვის ორგანიზების სტანდარტებსა და რეგულაციებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ ბოროტგანზრახვის უფრო ნაკლებად განხორციელება მოქმედებისა თუ უმოქმედობის შედეგად.

4. სამართლებრივი დაცვა

მსგავსად სხვა მოქალაქეების შემთხვევებისა, წევრ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ წვდომა სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემასა და მისაგებლის ან/და კომპენსაციის მიღებაზე იმ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, რომლებიც წარმოადგენენ ბოროტგანზრახვის მსხვერპლებს. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი დახმარების გაწევა რომლითაც მოხსნილი იქნება ფიზიკური და სხვა ბარიერები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მომჩივნების უფლებები სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით დაცული უნდა იყოს. წევრ სახელმწიფოებმა, შესაბამისად, უნდა უზრუნველყონ, რომ სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე პროფესიონალები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ექცეოდნენ დისკრიმინაციის გარეშე, იმგვარად, რომ გარანტირებული იყოს მათთვის, როგორც მოქალაქეებისათვის თანასწორი შესაძლებლობანი საკუთარი უფლებებით სარგებლობისას.

..."

ბ. საპარლამენტო ასამბლეა

78. საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1642 (2009) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიერ უფლებათა წვდომასა და საზოგადოებაში მათ მიერ სრული და აქტიური მონაწილეობის შესახებ (მიღებული 2009 წლის 26 იანვარს) აღნიშნავს შემდეგს:

"1. 10-დან 1-ზე მეტი პირი არის რაიმე ფორმით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე რაც მსოფლიოში 650 მილიონ ადამიანს უდრის, მათ შორის კიდევ უფრო დიდი პროპორციით წარმოდგენილი ევროპაში, სადაც 200 მილიონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. არსებობს კავშირი ასაკსა და შეზღუდულ შესაძლებლობებს შორის: მოსახლეობის დაბერებასა და ჯანდაცვის გაუმჯობესებასთან ერთად, ევროპაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რაოდენობაც იზრდება და კიდევ განაგრძობს ზრდას.

2. საპარლამენტო ასამბლეა მოიხმობს რა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას (ETS No. 5), რომელიც იცავს ყველა ადამიანს, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონესაც, და იხსენებს რა ევროპული სოციალური ქარტიის მე-15 მუხლს (ETS No. 163), რომელიც აშკარად იძლევა გარანტიას მასზედ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შეეძლოთ მათი დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობა. უფრო ახალი და დიდი ხნის განმავლობაში სასურველი დოკუმენტი, გაეროს კონვენცია შეზღუდულ შესაძლებლობათა მქონე პირთა უფლებების შესახებ, ძალაში შევიდა 2008 წლის 3 მაისს. ასამბლეა მიესალმება ამ დოკუმენტს, რომელიც დეტალურად აღწერს შეზღუდული შესაძლებლობების ხალხის, განსაკუთრებით ბავშვების უფლებებს და უცილობლად შეუწყობს ხელს ფიზიკური თუ გონებრივი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ აღქმის შეცვლას.

3. ასამბლეა აღნიშნავს, რომ პრაქტიკაში, ფიზიკური და გონებრივი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიერ საკუთარ უფლებებზე წვდომა შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე პირებთან თანასწორ საფუძვლებზე მხოლოდ სასურველ აზროვნებას წარმოადგენს და არაადეკვატურია. იგი, შესაბამისად, მიესალმება ევროპის საბჭოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ 2006-2015 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების განხორციელებასა და ჩართულობას (მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)5), რომელიც მიზნად ისახავს პრაქტიკული გამოსავლის მოძიებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ყველაზე სერიოზული და ხშირი პრობლემებისადმი, ავითარებს

შესაძლებლობების თანასწორობას და ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ვითარების გაუმჯობესებას ყოველდღიური ცხოვრების ყველა ასპექტში.

...

18. მაშინ როდესაც საზოგადოების დამოკიდებულება, წინასწარი განწყობანი და ჩამოყალიბებული დამოკიდებულება წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში რთული და აქტიური მონაწილეობის მთავარ წინააღმდეგობას, ასამბლეა მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს:

18.1. შეიმუშავონ კამპანიები, რომლებიც საზოგადოების ყურადღებას მიაპყრობენ და შესთავაზებენ ინფორმაციებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ.

18.2. მიიღონ სამართლებრივი ზომები და დასაჯონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაციული ქმედებების განმახორციელებელი პირები მიუღებელი დამოკიდებულების გამომჟღავნებისათვის, განსაკუთრებით ბოროტგანზრახვის, ჩამდენი ცალკეული ინდივიდების ჯანდაცვის დაწესებულებებში;

18.3. გაავრცელონ ყოველდღიური ცხოვრების ფარგლებში კარგი მაგალითები, რათა აშკარა გახდეს - ყველასათვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისათვის- თუ რა ადგილი უკავია მოცემულ საკითხს სამოქალაქო საზოგადოებში, სამუშაო გარემოსა და განათლების სფეროში;

18.4. უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრული და აქტიური მონაწილეობა ყველა ამ პროცესში.

..."

IV. გაეროს შესაბამისი დოკუმენტები

79. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის შესაბამისი ნაწილები (რომელიც ხორვატიის მიერ რატიფიცირებულ იქნა 2007 წელს და ძალაში შევიდა 2008 წლის 3 მაისს), აღნიშნავს:

მუხლი 1 - მიზანი

"წინამდებარე კონვენციის მიზანია ხელი შეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა რეალიზება, ხელი შეუწყოს მათი თანდაყოლილი პიროვნული ღირსების პატივისცემას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან ადამიანები, რომელთა ხანგრძლივმა ფიზიკურმა, გონებრივმა, ინტელექტუალურმა და სენსორულმა დარღვევებმა დამატებით ბარიერებთან ურთიერთქმედებაში შესაძლოა შეაფერხოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი თანასწორი, სრულფასოვანი და ეფექტიანი მონაწილეობა. "

მუხლი 4 - ზოგადი ვალდებულებები

"1. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ და ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა სრულ რეალიზებას, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ამ მიზნით მონაწილე ქვეყნები ვალდებულებას იღებენ:

მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული უფლებების უზრუნველსაყოფად;

განაზორციელონ ყველა შესაბამისი ზომა, მათ შორის საკანონმდებლო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ყველა დისკრიმინაციული კანონის, დადგენილების, წესისა თუ ტრადიციის შესაცვლელად ან გასაუქმებლად;

ყველა პოლიტიკასა და პროგრამაში გათვალისწინებული იქნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა და ხელშეწყობა;

თავი შეიკავონ ყველა იმ მოქმედებისა თუ პრაქტიკისაგან, რომელიც ეწინააღმდეგება წინამდებარე კონვენციას და უზრუნველყონ სახელმწიფო სტრუქტურებისა და დაწესებულებების წინამდებარე კონვენციის შესაბამისად მოქმედება.

მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა ყველა კერძო პირის, ორგანიზაციისა ან კერძო საწარმოს მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად;

..."

მუხლი 5 - თანასწორუფლებიანობა და დისკრიმინაციის აკრძალვა

"1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ყოველი პიროვნება თანასწორია კანონის წინაშე და კანონის ძალით; ყველას თანასწორად ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, აქვს უფლება იყოს დაცული და ისარგებლოს კანონით;

2. მონაწილე სახელმწიფოები კრძალავენ შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციას და უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარ და ეფექტიან იურიდიულ დაცვას ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან.

3. თანასწორუფლებიანობის ხელშეწყობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას გონივრული მისადაგების უზრუნველსაყოფად.

4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფაქტობრივი თანასწორუფლებიანობის მიღწევისა და დაჩქარებისათვის მიღებული კონკრეტული ზომები, წინამდებარე კონვენციით, არ განიხილება დისკრიმინაციად."

მუხლი 8 - ცნობიერების ამაღლება

"1. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას მიიღონ გადაუდებელი, ეფექტიანი და შესაბამისი ზომები, რათა:

აამაღლონ საზოგადოების ცნობიერება, მათ შორის ოჯახის დონეზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში; ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ღირსების პატივისცემას.

ებრძოლონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში, ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სქესსა და ასაკზე დაფუძნებულ სტერეოტიპებს, ცრურწმენებსა და ზიანის მომტან პრაქტიკას;

პოპულარიზაცია გაუწიონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოტენციალსა და წვლილს.

2. ამ მიზნით მიღებული ზომები მოიცავს:

საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად ეფექტიანი კამპანიის ინიცირებას და განხორციელებას, რომლის მიზანიც გახლავთ:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისადმი პატივიცემის გრძნობის ჩამოყალიბება;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში პოზიტიური განწყობისა და გააზრებული სოციალური ცნობიერების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უნარ-ჩვევების, ღირსებებისა და შესაძლებლობების, ასევე სამუშაო ადგილებსა და შრომით ბაზარზე მათი წვლილის აღიარების ხელშეწყობა;

განათლების სისტემის ყველა საფეხურზე, მათ შორის მცირეწლოვან ბავშვებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისადმი პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხარდაჭერა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინამდებარე კონვენციასთან შესაბამისობაში მყოფი სახის წარმოსაჩენად.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან და მათ უფლებებთან დაკავშირებული საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი პროგრამების პოპულარიზაცია."

მუხლი 15 - წამების ან სასტიკი, არაადამიანური დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელისაგან თავისუფლება

"1. არავინ არ უნდა გახდეს წამების, სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელის მსხვერპლი. კერძოდ, არავიზე არ უნდა ჩატარდეს სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტი მისი ნებაყოფილობითი თანხმობის გარეშე.

2. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა ეფექტიანი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, მართლმსაჯულებითი და სხვა ზომები, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვა წამების ან სასტიკი, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელისაგან, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე."

მუხლი 16 - ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან თავისუფლება

1. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ, საგანმანათლებლო და სხვა ზომებს, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვა ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან, მათ შორის სქესობრივი დისკრიმინაციის ჩათვლით, როგორც შინ, ასევე გარეთ.

2. მონაწილე სახელმწიფოები ასევე იღებენ ყველა შესაბამის ზომას, რათა უზრუნველყონ ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფის ყველა ფორმის პრევენცია. კერძოდ, უზრუნველყოფილი უნდა იქნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათი ოჯახის წევრებისა და მომვლელების დახმარება და მხარდაჭერა ასაკისა და სქესის გათვალისწინებით, მათ შორის ექსპლუატაციის, ძალადობისა და

შეურაცხყოფის შემთხვევების გამოვლენის, თავიდან აცილებისა და გახმაურების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და განათლების ჩათვლით. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ დაცვის სამსახურების მიერ ასაკის, სქესის და შეზღუდული შესაძლებლობის გათვალისწინებას.

3. ნებისმიერი სახის ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფის თავიდან აცილების მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურებისათვის შექმნილი ყველა პროგრამისა და მოწყობილობის ეფექტურ მონიტორინგს დამოუკიდებელი უწყებების მიერ.

4. მონაწილე სახელმწიფოები ასევე იღებენ ყველა შესაბამის ზომას, მათ შორის დაცვის სამსახურების ჩათვლით, რათა ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ პირთა ფიზიკურ, შემეცნებით, ფსიქოლოგიურ გამოჯანმრთელებას, რეაბილიტაციასა და სოციალურ რეინტეგრაციას, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო გახდნენ ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფის მსხვერპლნი. ასეთი სახის რეაბილიტაცია და გამოჯანმრთელება უნდა ხდებოდეს გარემოში, რომელიც ხელს უწყობს პიროვნებაში ჯანმრთელობის, კეთილდღეობის, თვითპატივისცემის, ღირსებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებას ასაკობრივ-სქესობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით.

5. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ეფექტურ, მათ შორის ქალებსა და ბავშვებზე ორიენტირებულ კანონმდებლობასა და სტრატეგიებს, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფის შემთხვევათა გამოვლენა, გამოძიება და საჭიროების შემთხვევაში კანონით დასჯა."

მუხლი 17 - პიროვნების ხელშეუხებლობის დაცვა

"შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირს აქვს საკუთარი ფიზიკური და გონებრივი ხელშეუხებლობის პატივისცემის თანაბარი უფლება."

სამართალი

I. კონვენციის მე-2, მე-3 და მე-8 მუხლების სავარაუდო დარღვევა

80. მომჩივნები ჩიოდნენ, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა არ მიაწიეს მათ ადეკვატური დაცვა სამეზობლოში არასრულწლოვან ბავშვთა მხრიდან შევიწროებისაგან. ისინი დაეფუძნენ კონვენციის მე-2, მე-3 და მე-8 მუხლებს, რომლებიც აღნიშნავენ შემდეგს:

muxli 2

"1. yoveli adamianis sicocxlis ufleba kanoniT aris daculi. dauSvebelia sicocxlis ganzrax xelyofa, garda sikvdiliT dasjisa, romelic sasamarTlos ganaCeniT Seefarda mocemul pirs iseTi danaSaulis CadenisaTvis, romlisTvisac kanoni iTvaliswinebs am sasjels.

..."

muxli 3

"adamianis wameba, araadamianuri Tu damamcirebeli dasja an masTan aseTi mopyroba dauSvebelia."

muxli 8

"1. yvelas aqvs ufleba, rom daculi iyos misi piradi ... cxovreba ...

2. dauSvebelia am uflebis ganxorcielebaSi sajaro xelisuflebis Careva, garda iseTi SemTxvevisa, rodesac aseTi Careva xorcieldeba kanonis Sesabamisad da aucilebelia demokratiul sazogadoebaSi erovnuli uSiSroebis, sazogadoebrivi usafrTxoebis, qveyნis ekonomikuri keTildReobis interesebisaTvis, uwesrigobisa Tu danaSaulis Tavidan asacileblad, janmrTelobisa an moralis, anda sxvaTa uflebebisa da Tavisuflebebis dasacavad."

ა. მისაღებობა*1. მხარეთა არგუმენტები**(ა) მთავრობის არგუმენტები*

81. მთავრობა აღნიშნავდა, რომ მოცემულ საქმეში მე-2 და მე-3 მუხლები არ გამოიყენებოდა. მე-2 მუხლთან დაკავშირებით, იგი აღნიშნავდა, რომ მომჩივნების სიცოცხლეს არანაირი საფრთხე არ დამუქრებია. ხოლო მე-3 მუხლთან დაკავშირებით კი მიუთითებდა, რომ მოცემული მუხლისათვის საჭირო სისასტიკის მინიმალური ზღვარი არ იყო მიღწეული, რადგან გასაჩივრებული შევიწროება უმეტესწილად სიტყვიერი იყო, ხოლო პირველი მომჩივანისათვის 2009 წლის 4 აპრილს მიყენებული დაზიანებანი კი მსუბუქი ხასიათისა გახლდათ. ამასთანავე, მთავრობა აღნიშნავდა- ის ფაქტი, რომ პირველ მომჩივანს მაინც სურდა სეირნობა მიმდებარე ტერიტორიებზე მიუთითებდა, რომ იგი მოცემული მოვლენებით არ იყო ტრამვირებული.

82. მთავრობა ასევე დავობდა, რომ მომჩივნებს არ ჰქონდათ ამოწურული სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი გასაჩივრების ყველა საშუალება. მთავრობის აზრით, მომჩივნებს უნდა შეეტანათ სამოქალაქო სარჩელი ზიანისათვის იმ ბავშვებისა და მათი მშობლების წინააღმდეგ, ისევე როგორც იმ სკოლის წინააღმდეგ, სადაც სწავლობდნენ ბავშვები ან სხვა ხელისუფლების ორგანოების წინააღმდეგ. ასევე, მომჩივნებს შეეძლოთ დაეწყათ მცირე-დანაშაულების სამართალწარმოება ბავშვების მშობლების წინააღმდეგ. მათ ასევე შეეძლოთ შეეტანათ "სარჩელი უკანონო მოქმედების" გამო შესაბამისი ორგანოების წინააღმდეგ ადმინისტრაციული დავების კანონის საფუძველზე. ამ საფუძველით შეტანილი სარჩელების შემთხვევაში, შესაბამისი სასამართლო ვალდებულია იმოქმედოს დაუყოვნებლივ. ამ თემაზე საპასუხო გადაწყვეტილებით სასამართლო აკრძალავდა ნებისმიერ შემდგომ უკანონო მოქმედებას. გადაწყვეტილება აღსრულდებოდა მხარეებისათვის მიტანიდან სამ დღეში.
83. რაც შეეხება 2010 წლის 10 აპრილისა და 13 მაისი მოვლენებს, მთავრობამ აღნიშნა, რომ სავარაუდო დანაშაუენი კ.ბ. და ზ. ბ. უკვე თოთხმეტი წლისანი იყვნენ და შესაძლებელი იყო მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენება. იმის გამო, რომ სისხლისსამართლებრივი გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, ნებისმიერი საჩივარი მოცემულ ინციდენტებთან მიმართებაში ნაადრევი იყო.

(ზ) მომჩივანთა არგუმენტები

84. პასუხად მომჩივნები აღნიშნავდნენ, რომ ისინი დაექვემდებარნენ განგრძობად შევიწროებას, რომელიც ამასთანავე მოიცავდა ფიზიკურ ძალადობას პირველი მომჩივნის მიმართ და სიტყვიერ ძალადობას ორივე მომჩივნის მიმართ. ამგვარი შევიწროება არღვედა მათ ყოველდღიურ ცხოვრებას და მათში იწვევდა მუდმივი სტრესისა და ტანჯვის მნიშვნელოვან დონეს, განსაკუთრებით პირველი მომჩივნის სამდიცინო მდგომარეობის გათვალისწინებით. ისინი დავობდნენ, რომ შევიწროების მიმდინარე პრაქტიკა და ბოროტგანზრახვა აკმაყოფილებდა ინტენსიურობის იმ სტანდარტს, რომელიც დადგენილი გახლდათ კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებით და რომ კონვენციის მე-2 მუხლიც გამოიყენებოდა ძალადობის იმ ესკალაციის გათვალისწინებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა პირველი მომჩივნის წინააღმდეგ მისი უკიდურესად მოწყვლადი მდგომარეობის გამო; ასევე, იმის ალბათობის გამოც - რომელიც დადასტურებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ ზიზღით გამოწვეული დანაშაულების კვლევით - რომ თუკი მცირე მასშტაბის შევიწროება უპასუხოდ რჩებოდა, იგი ფართომასშტაბიან ძალადობაში გადაიზრდებოდა, რასაც შესაძლოა გამოეწვია უკიდურეს გარემოებებში სიკვდილი ან სასტიკი არასათანადო მოპყრობა.
85. რაც შეეხება სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვას, ისინი აღნიშნავდნენ, რომ შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი

სისტემა არ იძლეოდა სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, რომელიც გამომავლობდა ვითარებას შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე ზიზლის დანაშაულის შემთხვევაში; მოცემულს ადასტურებდა ის ფაქტი, რომ მთავრობას არ ჰქონდა წარმოდგენილი არანაირი შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა რათა გაემყარებინა მისი არგუმენტი მასზედ, რომ მათ მიერ მოხმობილი სამართლებრივი დაცვის საშუალებანი ხელმისაწვდომი და ეფექტიანი გახლდათ.

86. რაც შეეხება ადმინისტრაციული დავების შესახებ კანონის 67-ე მუხლის საფუძველზე სარჩელის შეტანას ხელისუფლების ორგანოების წინააღმდეგ მათი უკანონო მოქმედების გამო, მომჩივნები აღნიშნავენ, რომ მოცემული მისაგებლისათვის მისაღებობის მოთხოვნები - მაგალითად ის რომ მოცემულ ქმედებას უნდა მიეღწია კონსტიტუციის დარღვევის მნიშვნელობამდე, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალება უკანასკნელი საშუალება უნდა ყოფილიყო და რომ უკანონო საქმიანობა უნდა მიმდინარე ყოფილიყო სარჩელის შეტანის დროისათვის - მოცემულ დაცვის საშუალებას აღნიშნული საქმისათვის არაეფექტიანს ხდიდა.
87. რაც შეეხება შესაძლო სამოქალაქო დავას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით ბავშვების მშობლების წინააღმდეგ, მომჩივნები აღნიშნავენ, რომ სასამართლომ უკვე დაადგინა ხორვატიის წინააღმდეგ განხილულ საქმეებში, რომ პირის ფიზიკური ხელშეუხებლობის წინააღმდეგ თავდასხმების ეფექტიანი პრევენცია საჭიროებდა სისხლის სამართლით დადგენილ ეფექტიან მექანიზმებს, რომელიც უზრუნველყოფდა ამ მხრივ ადექვატურ დაცვას (მათ მოახდინეს შემდეგი საქმის ციტირება *Sandra Janković v. Croatia*, no. 38478/05, § 36, 5 მარტი 2009).
88. რაც შეეხება მცირე-დანაშაულების სამართალწარმოებას, მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ იგი ვრცელდებოდა მხოლოდ მშვიდობისა და წესრიგის წინააღმდეგ მცირე დანაშაულებზე და შესაბამისად, მოცემული მისაგებელი აშკარად არაადეკვატური გახლდათ მომჩივნების ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობაზე მიყენებულ ზიანთან მიმართებაში.
89. დაბოლოს, მთავრობის არგუმენტი მასზედ, რომ მომჩივანთა საჩივარი ნაადრევი იყო 2010 წლის 10 აპრილისა და 13 მაისის მოვლენებთან მიმართებაში, რადგანაც მოცემულ შემთხვევებზე გამოძიება ჯერ ისევ მიმდინარეობდა, მომჩივნებმა უპასუხეს, რომ მათ არასდროს მიუღიათ არანაირი ოფიციალური ინფორმაცია მოცემული საქმის გამოძიების შესახებ და რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა ხელისუფლების ქმედებების გაუმართლებელ გაჭიანურებას. ასევე, გამოძიება ეხებოდა იზოლირებულ ინციდენტებს და არა მომჩივანთა მდგომარეობას ერთიანობაში.

2. სასამართლოს შეფასება

(ა) კონვენციის მე-2, მე-3 და მე-8 მუხლების გამოყენება წინამდებარე საქმეში

(i) პირველ მომჩივანთან მიმართებაში

90. სასამართლო ითვალისწინებს ძალადობრივი მოქმედების განმეორებად ინციდენტებს პირველი მომჩივნის მისამართით. ფაქტები ეხება შევიწროების ხშირ ეპიზოდებს 2008 წლის 31 ივლისიდან 2011 წლის თებერვლამდე პერიოდში, რაც მთლიანობაში ორ წელიწადნახევარს წარმოადგენს. ინციდენტები ეხებოდა როგორც სიტყვიერ ისე ფიზიკურ შევიწროებას, მათ შორის ძალადობრივ ქმედებებს, ისეთს, როგორიცაა პირველი მომჩივნის ხელების დაწვა სიგარეტით, ხელის კვრა და რკინის ღობეზე მინარცხება და ბურთის დარტყმა. იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულის საქმის ყველა ინციდენტი ეხებოდა ბავშვების ჯგუფის მიერ ჩადენილ მოქმედებებს და ხდებოდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, სასამართლო მათ განიხილავს განგრძობად ვითარებად.
91. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ პირველი მომჩივნის შევიწროება მის მეზობლად მცხოვრები ბავშვებისა და ახლომდებარე დაწყებით სკოლაში მყოფი ბავშვების მიერ კარგად არის დოკუმენტირებული *inter alia* პოლიციისა და სამედიცინო ანგარიშებით. ეს უკანასკნელი ასახავს თუ რა ნეგატიური გავლენა ჰქონდა მოცემულ ინციდენტებს მის ფიზიკურ და გონებრივ მდგომარეობაზე. პირველ მომჩივანთან მიმართებაში შედგენილი ანგარიშები მიუთითებენ, რომ იგი დაავადებულია სერიოზული გონებრივი აშლილობებით, მაგრამ მშვიდობიანი და კეთილადგანწყობილია, წარმოადგენს ინდივიდს, რომელსაც არ შეუძლია და არც იცის თუ როგორ დაიცვას თავი თავდამსხმელებისაგან. მის წინააღმდეგ განგრძობადი შევიწროების გამო, მას დასჭირდა ფსიქოთერაპიის გავლა, ხშირად ჰქონდა შიშები და არის სტრესის ქვეშ. მის წინააღმდეგ შევიწროების შეწყვეტა რეკომენდირებულ იქნა.
92. პირველმა მომჩივანმა წარმოადგინა სანდო მტკიცებულებანი, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მას ჰქონდა ფიზიკური და გონებრივი ხელშეუვალობის წინააღმდეგ მუქარა და რეალურად დაექვემდებარა შევიწროებას და რამდენიმეჯერ თავდასხმასაც კი.
93. მოცემული ფაქტების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ორგანოებს ეკისრებოდათ პოზიტიური ვალდებულება დაეცვათ პირველი მომჩივანი ბავშვების მხრიდან განხორციელებული ძალადობრივი მოქმედებებისაგან. მოცემული ვალდებულება გამომდინარეობს კონვენციის როგორც მე-3, ისევე მე-8 მუხლებიდან. მოცემული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ საკმარისია გაანალიზებულ იქნას პირველი მომჩივნის საჩივარი კონვენციის მხოლოდ მე-3 მუხლის ქრილში.
94. კონვენციის მე-3 მუხლს რაც შეეხება, სასამართლო იმეორებს, რომ არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს იმისათვის, რათა მოხდეს მე-3 მუხლის განხილვის სფეროში. მოცემული მინიმალური ზღვარის შეფასება შედარებითია: იგი დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, მათ შორის მოპყრობის ბუნებასა და კონტექსტზე, ხანგრძლივობაზე, მის ფიზიკურ და გონებრივ

შედეგებზე და, რიგ შემთხვევებში, სქესზე, ასაკზე და მსხვერპლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე (იხ. *Costello-Roberts v. the United Kingdom*, 25 მარტი 1993, § 30, Series A no. 247-C, and *A. v. the United Kingdom*, 23 სექტემბერი 1998, § 20, Reports 1998-VI).

95. სასამართლოს მიერ მოპყრობა "არაადამიანურად" შესაძლებელია ჩაითვალოს *inter alia*, მისი წინასწარგანზარული ხასიათის გამო, რომელიც გამოყენებული იყო საათების განმავლობაში და გამოიწვია რეალური სხეულებრივი დაზიანება ან ინტენსიური ფიზიკური და გონებრივი ტანჯვა (იხ. *Labita v. Italy* [GC], no. 26772/95, § 120, ECHR 2000-IV). მოპყრობა "დამამცირებლად" ჩაითვლება, როდესაც მან მსხვერპლში გამოიწვია შიშის, დიდი ტკივილის და არასრულფასოვნების შეგრძნება, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს დამცირება და შესაძლოა გატეხოს მათი ფიზიკური და მორალური წინააღმდეგობის გაწევის უნარი (იხ. *Hurtado v. Switzerland*, 28 იანვარი 1994, კომისიის მოსაზრება, § 67, Series A no. 280, და *Wieser v. Austria*, no. 2293/03, § 36, 22 თებერვალი 2007).
96. სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველი მომჩივნის შევიწროება - რომელმაც ერთ მომენტში გამოიწვია ფიზიკური დაზიანებანი, შიშისა და უმწეობის შეგრძნებასთან ერთად - საკმარისად სერიოზულია რათა მიაღწიოს სისასტიკის იმ ზღვარს, რომელსაც ითხოვს კონვენციის მე-3 მუხლი და, შესაბამისად, მოცემულ საქმეში კონვენციის მე-3 მუხლი გამოყენებადია (იხ. *Price v. the United Kingdom*, no. 33394/96, § 24, ECHR 2001-VII, და *Milanović v. Serbia*, no. 44614/07, § 87, 14 დეკემბერი 2010).

(ii) მეორე მომჩივანთან დაკავშირებით

97. რაც შეეხება მეორე მომჩივანს, სასამართლო აღნიშნავს, რომ იგი არ დაქვემდებარებულა არანაირ ძალაობას ფიზიკური ხელშეუხებლობის წინააღმდეგ. თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ პირველი მომჩივნის - მისი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შვილის, რომელსაც იგი უვლის - მიმართ განგრძობადმა შევიწროებამ და შევიწროების იმ ინციდენტებმა, რომელიც მასაც შეეხო პირადად, მართალია უფრო მსუბუქი ფორმებით, გამოიწვია მისი ყოველდღიური ცხოვრებისა და რუტინის დარღვევა, რასაც ნეგატიური შედეგი ჰქონდა მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე. მართლაც, ინდივიდის მორალური ხელშეუვალობა მოცულია პირადი ცხოვრების უფლების არსით. პირადი ცხოვრების კონცეფცია ვრცელდება ინდივიდებს შორის ურთიერთობაზეც.
98. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მეორე მომჩივანთან მიმართებაში, მოცემულ საქმეში, გამოიყენება კონვენციის მე-8 მუხლი.

(ზ) სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვა

99. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის 35-ე მუხლის მიზანია მისცეს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს საშუალება თავიდან აიცილონ ან გამოასწორონ ის დარღვევები, რომელიც მათ წინააღმდეგ არის წამოყენებული მანამდე, სანამ მოხდება მათი წარდგენა კონვენციის ინსტიტუტების წინაშე. შედეგად, სახელმწიფოებს ეძლევათ საშუალება გათავისუფლდნენ საერთაშორისო ორგანოების წინაშე ქმედებებისათვის პასუხისგებისაგან და გამოასწორონ მდგომარეობა საკუთარი სამართლებრივი სისტემების დახმარებით. სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის წესი, მოხმობილი კონვენციის 35-ე მუხლში ითხოვს, რომ მომჩივანმა სცადოს ჩვეულებრივი დაცვის საშუალებანი, რომელიც ეხება სავარაუდო დარღვევებს და ამასთანავე არის ხელმისაწვდომი და საკმარისი. ამგვარი სამართლებრივი დაცვის საშუალებების არსებობა საკმარისად ნათელი უნდა იყოს არამარტო თეორიაში, არამედ პრაქტიკაშიც, რომლის ნაკლებობაც გამოიწვევს ხელმისაწვდომობისა და ეფექტიანობის რეკვიზიტის არარსებობას; მოპასუხე სახელმწიფოს მტკიცების ტვირთს წარმოადგენს იმის დადგენა, რომ მოცემული სხვადასხვა პირობები დაკმაყოფილებულია (იხ. *Selmouni v. France* [GC], no. 25803/94, §§ 74 and 75, ECHR 1999-V)
100. 35-ე მუხლი ეხება მტკიცების ტვირთის გადანაწილებას. მთავრობას, რომელიც ამტკიცებს სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოუწურავობის შესახებ აკისრებს ვალდებულებას აჩვენოს სასამართლოს, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალება იყო ეფექტიანი, ხელმისაწვდომი როგორც თეორიულად ისე პრაქტიკულად მოცემულ დროს, ანუ, რომ იგი იყო ხელმისაწვდომი, იმგვარი, რომ შეძლებოდა ვითარების გამოსწორება მოხმობილ საჩივრებთან მიამართებაში და იძლეოდა წარმატების გონივრულ პერსპექტივას (იხ. *Akdivar and Others v. Turkey*, 16 სექტემბერი 1996, § 68, *Reports of Judgments and Decisions* 1996-IV).
101. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ მოცემული წესი გონივრულად უნდა იქნას გამოყენებული კონტექსტში. შესაბამისად, აღიარებულია, რომ მუხლი 35 გამოყენებული უნდა იქნას გარკვეული მოქნილობით და მომეტებული ფორმალისმის გარეშე (იხ. *Cardot v. France*, 19 მარტი 1991, § 34, Series A no. 200). ასევე აღიარებულია, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვის წესი არც აბსოლუტურია და არც ავტომატურად არ გამოიყენება; იმის განხილვისას თუ რამდენად იქნა დაცული მოცემული წესი, აუცილებელია ინდივიდუალური საქმის გარემოებების გათვალისწინება (იხ. *Van Oosterwijck v. Belgium*, 6 ნოემბერი 1980, § 35, Series A no. 40). აღნიშნული, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს სასამართლოს მიერ არამარტო ფორმალური მისაგებლების არსებობის რეალისტურად გათვალისწინებას კონკრეტული ხელშემკვრელი სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში, არამედ ასევე მისი მოქმედების ზოგადი სამართლებრივი და პოლიტიკური კონტექსტის, ისევე როგორც მომჩივანის პირადი გარემოებების გათვალისწინებასაც (იხ. *Akdivar and Others*, ციტირებული ზემოთ, § 69).

102. მოცემულ საქმეში, სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობის მიხედვით მომჩივნებს უნდა შეეტანათ სამოქალაქო სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით იმ ბავშვების მშობლების წინააღმდეგ რომლებმაც პირველი მომჩივნის წინააღმდეგ განახორციელეს შევიწროება და ძალადობა. და რომ მათ ჰქონდათ საშუალება დაეწყოთ მცირე სამართალდარღვევების საფუძველზე სამართალწარმოება მოცემული ბავშვების მშობლების წინააღმდეგ.
103. ამ მხრივ სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ საქმეში მთავარი თემა არა აღნიშნულ ბავშვთა მშობლების ინდივიდუალური პასუხისმგებლობაა, არამედ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების ადეკვატური პასუხის გასაჩივრებული ნაკლებობა იმ ბავშვების მხრიდან განმეორებული შევიწროებისა და ძალადობის პასუხად, რომელთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც შეუძლებელი გახლდათ მათი მცირეწლოვანების გამო.
104. რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს მასზედ, რომ საჩივარი ნაადრევი იყო, რადგან ბავშვები პ.ბ., ზ.ბ. და ი.ს. რომლებიც სავარაუდოდ მონაწილეობდნენ 2010 წლის 10 აპრილისა და 13 მაისის მოვლენებში, მოცემული დროისათვის თოთხმეტი წლის იყვნენ და შესაბამისად შესაძლებელი იყო მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენება, სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში მთავარი განსახილველი თემა ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დგას. ნებისმიერ შემთხვევაში, მოცემული ინციდენტები განხორციელდა 2010 წლის აპრილსა და მაისში და მთავრობამ ვერ დაადასტურა, რომ 2010 წლის ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში ჩატარებული დაკითხვების გარდა რაიმე საპროცესო მოქმედება განხორციელებულ იქნა მოცემულ ბავშვებთან მიმართებაში.
105. თუმცა, მთავრობის მიერ მოხსენიებული რამდენიმე სხვა სამართლებრივი მისაგებელი საჭიროებს ეფექტიანობის შეფასებას მოცემული საქმის კონკრეტული ვითარებების გათვალისწინებით. სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული დავების შესახებ კანონის 67-76 მუხლები ახსენებენ "სარჩელს უკანონო მოქმედების მიმართ", სამართლებრივი მისაგებელი, რომელიც ნებისმიერი იმ პირისათვის არის ხელმისაწვდომი, ვინც მიიჩნევს, რომ კონსტიტუციით დაცული მისი უფლებები ან თავისუფლებები დაირღვა საჯარო დაწესებულების მიერ და მისთვის არ არსებობს სხვა სახის მისაგებელი. მოცემული კანონის 66-ე მუხლთან ერთად განსაზღვრულ მისაგებელთან ერთად, რომელიც ეხება მისაგებელს საბოლოო ინდივიდუალური აქტის პასუხად (იხ. პარაგრაფი 65 ზემოთ), ისინი წარმოადგენენ უკანასკნელ საშუალებას, რომელიც გამოყენებული უნდა იქნას სხვა იურიდიული დაცვის არარსებობის შემთხვევაში, იმ საჯარო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებების ან სხვა (ფაქტობრივი) მოქმედებების ან უმოქმედობის წინააღმდეგ ("უკანონო მოქმედების წინააღმდეგ სარჩელი" - იხ. პარაგრაფები 66 და 67 ზემოთ), რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა თუ თავისუფლებების დარღვევა. მოცემული მისაგებლის მიღმა დგას

- მოსაზრება, რომ კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები იმდენად ძვირფასია, რომ დაუშვებელია სასამართლოს მიერ მათი დაუცველობა.
106. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ უფლება არ მოგეცნენ არასათანადოდ და პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება ორივე გარანტირებულია ხორვატიის კონსტიტუციის მიერ. ამასთანავე, ეროვნული სასამართლოების შესაბამისი პრაქტიკა აჩვენებს, რომ ამ ტიპის საჩივრები შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს უმოქმედობის დროს, მსგავსად წინამდებარე საქმისა, სადაც მომჩივნები აცხადებენ, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ განახორციელა სათანადო მოქმედებანი. თუმცა, არსებული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე წარმოიშვება რიგი შეკითხვები მოცემული მისაგებლის ეფექტიანობასთან მიმართებაში.
107. პირველ რიგში, მთავრობას არ აღუნიშნავს თუ რომელი ორგანო უნდა იყოს პასუხისმგებელი შესაბამისი ზომების მიუღებლობაზე. იმის გამო, რომ განხილული მისაგებელი არის "სარჩელი უკანონო მოქმედების" (ან უმოქმედობის) წინააღმდეგ, აუცილებელია დადგინდეს თუ რომელ ორგანოს ეკისრება მოქმედების ვალდებულება და თუ რომელ კანონს ეფუძნება იგი. ამასთანავე, სარჩელი უმოქმედობის წინააღმდეგ შესაძლოა წარმოდგენილ იქნას ინდივიდუალური საჯარო მოხელის წინააღმდეგ, რომელსაც ეკისრებოდა მოქმედების ვალდებულება შესაბამისი კანონის საფუძველზე. მოცემულ საქმეში კი რთული გახლავთ ამგვარი ინდივიდუალურად პასუხისმგებელი განსაზღვრა. მთავრობას ამ მხრივ არგუმენტები არ წარმოუდგენია. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნების საჩივრის ერთი ასპექტი აღნიშნავდა, რომ კანონის მიხედვით არცერთი სახელმწიფო ორგანო არ იყო ვალდებული მიეღო ზომები მოცემული ვითარების საპასუხოდ.
108. ადმინისტრაციული დავების შესახებ კანონის საფუძველზე ამგვარი საჩივარი გამოიწვევდა სამართალწარმოების დაწყებას ჩვეულებრივ სამოქალაქო სასამართლოში. მთავრობას არ აღუნიშნავს, რომ შესაძლებელი იქნებოდა დროებითი ზომების მიღება მოცემული სამართალწარმოების დროს. თუმცა, მომჩივნების მიერ გასაჩივრებული ვითარება აჩვენებს, რომ ისინი განგრძობადად ექვემდებარებოდნენ შევიწროებას, ხანდახან ყოველდღიურადაც კი, და მათი საჩივრის არსი ის გახლავთ რომ ეროვნულმა ორგანოებმა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ ვითარების შესახებ, ვერ მიიღეს ჯეროვანი ზომები რათა თავიდან აეცილებინათ შემდგომი შევიწროება. შესაბამისად, ვითარება საჭიროებდა დაუყოვნებელ რეაგირებას სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან. მთავრობას არ წარმოუდგენია, რომ მათ მიერ მოხმობილ რომელიმე მისაგებელს შეეძლო დაუყოვნებელი რეაგირება შევიწროების ფაქტებზე.
109. შესაბამისად, "უკანონო მოქმედების წინააღმდეგ სარჩელისა" და სამოქალაქო სარჩელის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სახელმწიფოს წინააღმდეგ ვალდებულებების შესახებ კანონის საფუძველზე მთავრობას არ უჩვენებია, რომ მოცემულ ზომებს შეეძლო იმ მეყსიერი და შესაბამისი პასუხის მიგება, რომელიც საჭირო გახლდათ მოცემულ საქმეში.

110. ამ გარემოებებში, სასამართლო იმეორებს, რომ სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის მიღმა ლოგიკა კონვენციის ინსტრუმენტების დამატებით მოთხოვნას წარმოადგენს, ანუ აღნიშნავს პრინციპს, რომლის მიხედვითაც ეროვნულ ხელისუფლებას პირველ რიგში უნდა მეიცეს საშუალება გამოასწოროს გასაჩივრებული დარღვევა. ამ მხრივ სასამართლო აღნიშნავს, რომ მეორე მომჩივანი განმეორებით ჩიოდა მიმდინარე შევიწროების შესახებ სხვადასხვ ეროვნულ ორგანოებში, მათ შორის პოლიციასა და სახელმწიო პროკურატურაში, შესაბამის სოციალური კეთილდღეობის ცენტრსა და იმ სკოლაში, სადაც სწავლობდნენ ზემოთხსენებული ბავშვები. სასამართლო მიიჩნევს, რომ მან (მეორე მომჩივანმა) მისცა შესაბამის ორგანოებს ადექვატური საშუალება მოეხდინათ რეაგირება მის საჩივრებზე და დაესრულებინათ შევიწროება. შესაბამისად, მან ამოწურა ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებანი.
111. შემდგომ მომჩივნები აღნიშნავდნენ, რომ ეროვნულ სისტემაში არ არსებობდა დაცვა შევიწროებისა და ძალადობისაგან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ, მათ შორის არც სამართლებრივი სისტემა სტრუქტურა არსებობდა, რომელშიც კომპეტენტური ორგანოები იმოქმედებდნენ და დაწესებული მექანიზმების მიხედვით. ამ მხრივ, სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობას არ წარმოუდგენია, რომ მოცემული საკითხები შესაძლოა განხილულ ყოფილიყო ნებისმიერი იმ სამართალწარმოებით რომელსაც ისინი მოიხმობდნენ.
112. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მომჩივნებს არ ეკისრებოდათ ვალდებულება მიემართათ მთავრობის მიერ შემოთავაზებულ მისაგებლებზე. მოცემული დასკვნის გამოტანისას სასამართლო ითვალისწინებს საქმის სპეციფიურ გარემოებებს და იმ ფაქტს, რომ ფუნდამენტური ხასიათის უფლება, როგორც გახლავთ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობას არ დაქვემდებარება, წარმოადგენს მოცემული საქმის საფუძველს და რომ კონვენცია მიზნად ისახავს უფლებების დაცვას რომელიც არ არის თეორიული ან წარმოსახვით, არამედ უფლებებს რომლებიც არიან პრაქტიკური და ეფექტიანი (იხ. მაგალითად *Matthews v. the United Kingdom* [GC], no. 24833/94, § 34, ECHR 1999-I). შესაბამისად, მთავრობის პრეტენზია არ უნდა დაკმაყოფილდეს.

(გ) დასკვნა

113. სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი საჩივრები არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35 § 3 მუხლის მიხედვით. იგი ასევე მიიჩნევს, რომ ადგილი არ აქვს მიუღებლობის სხვა საფუძველებსაც. შესაბამისად, ისინი მისაღებად უნდა ჩაითვალოს.

ბ. საქმის არსებითი მხარე

1. მხარეთა არგუმენტები

(ა) მომჩივნების არგუმენტები

114. მომჩივნებმა მიუთითეს, რომ პირველი მომჩივნის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობა წარმოადგენდა შეზღუდული შესაძლებლობების მიმართ ზიზღით გამოწვეულ დანაშაულს. მოცემულ საკითხზე ჩატარებული კვლევების მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ ჩადენილი ძალადობისა და იძულების რაციო მნიშვნელოვნად აღემატებოდა ზოგადი მოსახლეობის მიმართ ჩადენილ მსგავს დანაშაულებს და უფრო ფართოდაც გახლდათ გავრცელებული. ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მომართ ძალადობის ყველაზე ჩვეულ ფორმას წარმოადგენდა დარტყმა, კბენა, სახელის დამახეზა, წვალება, მოპარვა, ხელის კერა, დაშინება, ნივთების მისი მიმართულებით სროლა, შენობის დატოვების მოთხოვნა, დაყვირება, შეგინება, ფულის მოთხოვნა, თმის მოქაჩვა, ქვების სროლა, შეფურთხება, თითის მიშვერა, გალახვა და თავის კედელზე მირტყმევინება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ხშირად ექვემდებარებოდნენ ძალადობას, რომელიც ჩადენილი გახლდათ განმეორებით ერთიდაიგივე პირების მიერ. ძალადობა ხშირად ხორციელდებოდა ახალგაზრდების დაჯგუფებების მიერ, რომლებიც ერთიდაიგივე ადამიანს ერჩოდნენ სისტემატიურად, მსგავსად მოცემული საქმისა.
115. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შევიწროება ხშირად მოტივირებული გახლდათ მოსაზრებით, რომ ისინი სხვაზე ნაკლებნი იყვნენ. ძალადობასა და დაპირისპირებას შესაძლოა ჰქონდეს ფართო შედეგები, მათ შორის ემოციური, ფიზიკური და სექსუალური გართულებანი და მსხვერპლის გარდაცვალებაც კი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შესაძლოა იძულებლნი იყვნენ შეცვალონ ყოველდღიური ცხოვრება რათა თავიდან აიცილონ საფრთხეები.
116. საკუთარ არგუმენტებში მომჩივნები ასევე ეყრდნობოდნენ ზემოთმოხმობილ საერთაშორისო წყაროებს, განსაკუთებით გაეროს კონვენციას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ და მისგან გამომდინარე ვალდებულებებს.
117. მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ ისინი დაექვემდებარნენ განგრძობად შევიწროებასა და ბოროტგანზრახვას ხუთი წლის განმავლობაში უმეტესწილად დაუდგენელი ბავშვების ჯგუფის მხრიდან მათი სერბული წარმოშობისა და პირველი მომჩივნის შეზღუდული შესაძლებლობების გამო. შევიწროება უმეტესწილად სიტყვიერი შეურაცყოფის ხასიათისა და სხვა ანტისოციალური ფორმების მატერებელი გახლდათ, მათ შორის ფურთხება, ხმაური, ასფალტზე შეურაცმყოფელი ტექსტების დაწერა და მომჩივნების საცხოვრებლისათვის ზიანის მიყენება. ყოველივე აღნიშნულმა მომჩივანში მწველი ტანჯვა გამოიწვია. ზემოთხსენებულ ფიზიკურ ზიანთან ერთად,

- რომელიც გამომდინარეობდა აღნიშნულიდან, მიმდინარე შევიწროებამ იქონია საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენა პირველი მომჩივნის ფსიქიკაზე, რაც აღინიშნა კიდევ მისი ფსიქოთერაპევტის მიერ.
118. ამასთანავე, მომჩივნებს მოუწიათ მათი ყოველდღიური რუტინის შეცვლა. პარკში გასეირნება, პარკში სკამზე ჯდომა და ხალხთან საუბარი უდიდესი მნიშვნელობის მატარებელი გახლდათ პირველი მომჩივანისათვის რათა მას განევითარებინა დამოუკიდებელი ცხოვრების სტილი და ჰქონოდა საზოგადოებაში ჩართულობის შეგრძნება. სამეზობლოს ბავშვების მხრიდან მუდმივი შევიწროების გამო, პირველმა მომჩივანმა შეწყვიტა ყოველივე ხსენებული აქტივობა.
119. სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, რომელიც ეხება სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების საფუძველზე, მომჩივნები დავობდნენ რომ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს ეკისრებოდათ ვალდებულება მიეღოთ პოზიტიური ზომები მათ დასაცავად მესამე მხარეების მიერ ჩადენილი ზიანისაგან. მეორე მომჩივანი მუდმივად ატყობინებდა ხელისუფლებას იმ ბოროტგანზრახვის შესახებ, რომელიც ხორციელდებოდა მომჩივნების მიმართ, მაგრამ მან დიდწილად ვერაფერი მოახერხა არასათანადო მოპყრობის განმეორების თავიდან ასაცილებლად. სახელმწიფო ორგანოებმა, შესაბამისად, იცოდნენ პირველი მომჩივნის შევიწროების შესახებ.
120. თუმცა, მიუხედავად მომჩივანთა ვითარების შესახებ ინფორმაციის ფლობისა, შესაბამისმა ორგანოებმა ვერ განახორციელეს მათი ვალდებულება დაესრულებინათ შევიწროება და ბოროტგანზრახვა. მომჩივნები დავობდნენ, რომ მათთვის არ იყო ცნობილი თუ რომელი სახელმწიფო ორგანო იყო მათ შემთხვევაში კომპეტენტური დაერეგულირებინა ვითარება. მთავრობის არგუმენტზე, რომ პოლიციამ ადექვატურად იმოქმედა მეორე მომჩივნის მიერ წარმოდგენილ ყოველ საჩივარზე, მომჩივნები დავობდნენ, რომ პოლიციამ ვერ გაიაზრა არსებული ვითარება და ვერ აიცვია თავიდან შემდგომი ABUSE ბოროტგანზრახვები. პოლიციამ ვერ განსაზღვრა დამნაშავეთა ვინაობა. პოლიცია უბრალოდ მოდიოდა ადგილზე და აფრთხილებდა ბავშვებს დაეტოვებინათ ადგილი. ამგვარი მარტივი მიდგომით პოლიციამ ვერ განახორციელა ამრიდებლის ფუნქცია. ამასთანავე, ბოროტი ქმედების ყოველ შემთხვევას პოლიცია განიხილავდა იზოლირებულ შემთხვევად და არ გაუაზრებია ვითარების განგრძობადი ხასიათი. მათ ასევე არ მიიღეს ზომები არასრულწლოვანთა მშობლების მიმართაც.
121. შესაბამისი სოციალური კეთილდღეობის ცენტრს უნდა გამოეძიებინა საქმე და დაედგინა შესაბამისი ფაქტები; მოეწვია დამნაშავე ბავშვთა მშობლები შეხვედრაზე რათა დაედგინა მათი პირადი გარემოებანი; გამოეცა დამცავი ზომები ძალადობის ხელახლა ჩადენის თავიდან ასაცილებლად; ერჩია ან ეიძულებინა დამნაშავენი და მათი მშობლები დასწრებოდნენ შესაბამის კურსებს; განეხორციელებინა სიტუაციის მონიტორინგი და მიღებული ზომების შესახებ შეედგინა ანგარიშები. თუმცა, სუსედგრადის კეთილდღეობის ცენტრმა არცერთი ზემოთხსენებული ქმედება არ

განახორციელა. 2009 წელს მან მიიღო ზომები იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომლებიც ჩართულნი იყვნენ სიგარეტის დაწვის ინციდენტში და გაახორციელა მათზე სოციალური მუშაკის ზედამხედველობა ხოლო შემდეგ კი წამოიწყო სამართალწარმოება რათა განეთავსებინათ მოცემული ბავშვი ქცევის პრობლემების მქონე ბავშვთა დაწესებულებაში ერთი წლის განმავლობაში. თუმცა, აღნიშნული განხორციელდა არა პირველ მომჩივანზე თავდასხმის გამო, არამედ მოცემული ბავშვის მომეტებული ქცევითი პრობლემების გამო.

122. რაც შეეხება იმ სკოლის ადმინისტრაციას, სადაც დადიოდნენ ხსენებული ბავშვები, მომჩივნები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ისინი უფლებამოსილნი იყვნენ მიეღოთ რიგი დისციპლინური სანქციები მოსწავლეების ძალადობრივი ქმედებების საპასუხოდ, მათ შორის გაფრთხილებანი, საყვედურები, სასტიკი საყვედური და სკოლიდან გაძევება, სკოლის ადმინისტრაციამ განახორციელა რიგი სხვა ზომებისა, მათ შორის მშობლებისა და ბავშვების მოწოდება შეეწყვიტათ მომჩივნების წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედებანი და შეხვედრების ორგანიზება, სადაც უხსნიდნენ ბავშვებს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა საჭიროების შესახებ. მათ ასევე ხელი შეუწყვეს კონკრეტულ ბავშვებთან გასაუბრებას. თუმცა, მოცემული ზომები არ იყო საკმარისი თავიდან აეცილებინა შემდგომი ძალადობა მომჩივნების წინააღმდეგ.
123. მსგავსად ზემოთხსენებულისა, არცერთმა სხვა ორგანომ არ განახორციელა ქმედებები რათა თავიდან აეცილებინა ძალადობა და შევიწროება მომჩივნების მიმართ.

(ბ) მთავრობის არგუმენტები

124. მთავრობა აღნიშნავდა, რომ პოლიციისათვის შეტყობინებული და პოლიციის ანგარიშებში აღწერილი ინციდენტების მიღმა მომჩივნებს არ დაუდასტურებიათ, რომ სხვა ინციდენტებს მართლაც ჰქონდათ ადგილი. მთავრობამ აღნიშნა, რომ შესაბამისმა ორგანოებმა განახორციელეს ყველა შესატყვისი ქმედება რათა დაეცვათ მომჩივნები შევიწროებისაგან. ყოველ ჯერზე, როდესაც მეორე მომჩივანი რეკავდა პოლიციაში, პოლიცია მიდიოდა დროულად, ესაუბრებოდა შესაბამის ბავშვებს და აფრთხილებდა მათ არაჯეროვანი ქმედებების შესახებ. ყოველ ჯერზე პოლიციის მიერ დგებოდა ანგარიში და იგზავნებოდა სახელმწიფო პროკურატურაში.
125. სკოლა, სადაც დადიოდნენ ბავშვები, ყოველთვის დროულად რეაგირებდა მომჩივნების მხრიდან შევიწროების განცხადებებზე. სკოლის თანამშრომლები ხშირად ესაუბრებოდნენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა შესახებ. მშობლებს მოუწოდებდნენ შვილებთან განეხილათ მოცემული საკითხი და სკოლის დირექტორმა ამ მხრივ წერილიც გაუგზავნა მშობლებს.
126. რაც შეეხება 2009 წლის 4 აპრილს, მთავრობამ აღნიშნა, რომ ხელისუფლების ეროვნულმა ორგანოებმა გადადგეს ყველა საჭირო ნაბიჯი რათა დაედგინათ

დამნაშავის ვინაობა. საბოლოოდ, გაირკვა, რომ ი.მ.-მ დაუწვა მომჩივანს ხელები სიგარეტით. რადგან ი.მ. გახლდათ ბავშვი, რომელიც ჯერ არ იყო თოთხმეტი წლის, შეუძლებელი გახლდათ მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა. ამიტომ მომჩივნებს მიეცათ რეკომენდაცია მოეთხოვათ ზიანისათვის ანაზღაურება სამოქალაქო სამართალწარმოების გზით. შესაბამისმა სახელმწიფო პროკურატურამ შეატყობინა როგორც ბავშვთა ომბუდსმენს ისე შესაბამის სოციალური კეთილდღეობის ცენტრს მისი დასკვნების შესახებ.

127. რაც შეეხება 2010 წლის 10 აპრილისა და 13 მაისის მოვლენებს, ისევე როგორც მუდმივი შევიწროების ბრალდებას პირველი მომჩივნის მიმართ, პოლიციამ დაკითხა ბავშვები პ.პ., ზ.ბ., და ი.ს. გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობდა და რადგან ყველა მათგანი უკვე თოთხმეტი წლისა გახლდნენ მოცემული ქმედების ჩადენის დროისათვის, შესაძლებელი იყო მათი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა.
128. მთავრობა აცხადებდა, რომ ყოველივე ზემოთხსენებული ადასტურებდა, რომ ხელისუფლების ეროვნულმა ორგანოებმა იმოქმედეს დროულად და ჯეროვნად მომჩივნების მიერ წარმოდგენილ ყოველ საჩივარზე და მიიღეს ყველა ზომა შემდგომი შევიწროების თავიდან ასაცილებლად. 2010 წლის ივნისის შემდეგ საჩივრები აღარ ყოფილა წარმოდგენილი.
129. მთავრობა ასევე აღნიშნავდა, რომ უპირატესი ვალდებულება ეკისრებოდათ მშობლებს, რათა არ დაეშვათ მათი შვილების მხრიდან არაჯეროვანი საქციელი. მოცემული ბავშვების მშობლებს გამუდმებით ატყობინებდა სკოლის ადმინისტრაცია, ისევე როგორც სოციალური სერვისები, მათ ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ.
130. მეორეს მხრივ, მეორე მომჩივანმა, როგორც პირველი მომჩივნის დედამ, ასევე უნდა იკისროს რიგი პასუხისმგებლობა მომჩივანზე ზრუნვის სახით. დადგენილია, რომ პირველი მომჩივანი საჭიროებდა დახმარებას სიარულისას და მუდმივ ზრუნვას დედისაგან. იგი დაავადებული გახლდათ ეპილეფსიითა და ახლოსმხედველობით. სოციალურმა სამსახურებმა გააფრთხილეს მეორე მომჩივანი არ დაეტოვებინათ იგი შინ მარტო, რაც თავიდან აიცილებდა სხვებთან ფიზიკური კონტაქტიდან გამომდინარე პრობლემებს და გარეთ გასვლისასაც რომ ყოველთვის თან ხლებოდა საკუთარ შვილს, იგი თავად აუხსნიდა მეზობელ ბავშვებს საკუთარი შვილთან დაკავშირებულ საკითხებს.

(გ) მესამე მხარე

131. European Disability Forum (ევროპის შეზღუდული შესაძლებლობების ფორუმი) მოცემულ საქმეს განიხილავდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ ზიზღის დანაშაულის კუთხით. იგი აღნიშნავდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ ზიზღის დანაშაულის აღიარება გამოწვევას

წარმოადგენდა მრავალ სამართლებრივ სისტემაში, რადგან მათი მოწყვლადობის გამოყენება ხელს უშლიდა სამართალდამცავ ორგანოებსა და სასამართლოებს შეეფასებინათ ქმედებები როგორც ზიზლის დანაშაულები. გაერთიანებულ სამეფოში ჩატარებული ორი სხვადასხვა კვლევის მიხედვით დადასტურდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ოთხჯერ უფრო მეტად ექვემდებარებოდნენ სიტყვიერ და ფიზიკურ თავდასხმას ვიდრე ამგვარი შეზღუდვების არმქონე მათი თანატოლები. ისინი 50%-ით უფრო იშვიათად ატყობინებდნენ პოლიციას მოცემული დანაშაულების შესახებ.

132. მესამე მხარე ასევე დავობდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ დაპირისპირებული მოქმედებანი, რომელიც იწვევდა ძალადობრივ თავდასხმებს თავისთავად დისკრიმინაციული გახლდათ, რადგან მსხვერპლი არჩეული იყო შეზღუდული შესაძლებლობების გამო. იგი დავობდა, რომ იმ პირთა მიმართ შიში, რომლებსაც ჰქონდათ ხილული შეზღუდული შესაძლებლობები და რომელთა შესახედაობაც ითვლებოდა "შემაწუხებლად და უსიამოვნოდ" გახლდათ მთავარი მიზეზი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ ძალადობისა. მოცემული პირები ხშირად განიხილებოდნენ როგორც მეორეხარისხოვანი ან პასუხისმგებელნი საკუთარ მდგომარეობაზე, რომლებიც საზოგადოებას მთლიანად აკისრებდნენ გარკვეულ ტვირთს.
133. შიში "განსხვავებულის" მიმართ ძლიერდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც პოტენციური მსხვერპლი მოწყვლადად მიიჩნეოდა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მოწყვლადობა წარმოადგენდა დამნაშავისათვის თავდასხმის საშუალებას. მოცემული განსაკუთრებით ცხადი გახლდათ იმ შემთხვევებში, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირზე თავდასხმა ხორციელდებოდა არა გაქურვდის მიზნით, არამედ დამცირებისა და შეურაცყოფისათვის.
134. European Disability Forum-მა ასევე აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების ქონის საფუძველზე ზიზლის დანაშაულის აღიარება ახალი მიმართულება გახლდათ. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის (ციტირებული ზემოთ) მე-5 მუხლზე დაყრდნობით, აღინიშნა, რომ მოცემული მუხლი ადასტურებდა რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ჰქონდათ უფლება სხვებთან თანასწორ დაცვაზე. სახელმწიფოსათვის, აღნიშნული, გულისხმობდა უნარს ელიარებინა და მოეგვარებინა დისკრიმინაცია მსხვერპლის შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე და ჰქონოდა საკმარისი ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ რათა გამოეყენებინა კანონი მოცემულ პირთა მიმართ. რიგ შემთხვევებში, დისკრიმინაციის ამკრძალავი პრინციპის დაცვა შესაძლოა გულისხმობდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სპეციფიური ვითარების აღიარებას სხვა მსგავსი შეზღუდვების არმქონე პირებთან შედარებით. მოცემული მუხლის მეორე პარაგრაფი აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას დაიცვას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები

დისკრიმინაციისაგან ნებისმიერ საფუძველზე. ამ მოთხოვნის შესრულებაც საჭიროებს სახელმწიფო მოსამსახურეთათვის ტრენინგების ჩატარებასა და მათ გათვითცნობიერებას მოცემულ საკითხში.

135. მესამე მხარემ ასევე აღნიშნა, რომ დოკუმენტი, რომელიც ხელშემკვერელ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას "მიიღონ ყველა საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სასამართლო და სხვა ზომები რათა თავიდან აიცილონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა" ძალადობას დაქვემდებარება, რაც ასევე საჭიროებდა ტრენინგებს იმ პირებისათვის, რომლებიც მუშაობენ მართლმსაჯულების ადმინისტრირების სფეროში.
136. დასკვნის სახით, European Disability Forum-მა აღნიშნა, რომ ჯერჯერობით შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე ზიზღის დანაშაული არ სარგებლობს სათანადო ყურადღებით კანონშემოქმედებითი და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შედეგად იწვევს შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე ზიზღის დანაშაულის აღიარებას, ისევე როგორც შესაბამისი შემთხვევების შეტყობინებასა და თავად მოვლენის არასწორად აღქმას. ხელისუფლების ორგანოების პასუხმა მოვლენის მიმართ უნდა გადაინაცვლოს რეაქტიულიდან პროაქტიულ ფორმაზე და მიზნად უნდა დაისახოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვა ძალადობის ყველა ფორმისაგან.

2. სასამართლოს შეფასება

(ა) პირველ მომჩივანთან დაკავშირებით

(i) ზოგადი პრინციპები

137. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი უნდა ჩითვალოს კონვენციის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ დებულებად, რომელიც ასახავს ევროპის საბჭოს დემოკრატიული საზოგადოებების მთავარ ღირებულებებს (იხ. *Pretty v. the United Kingdom*, no. 2346/02, § 49, ECHR 2002-III). კონვენციის სხვა დებულებებისაგან განსხვავებით, გამონაკლისებისა თუ დათქმების გარეშე, იგი აბსოლუტურ ხასიათს ატარებს და მისგან გადახვევა დაუშვებელია კონვენციის მე-15 მუხლის მიხედვით (იხ. *inter alia*, *Chahal v. the United Kingdom*, 15 ნოემბერი 1996, § 79, *Reports* 1996-V).
138. სასამართლო იმეორებს, რომ იმ საკითხის განხილვისას თუ რამდენად უნდა იყოს სახელმწიფო პასუხისმგებელი მე-3 მუხლით იმ არასათანადო მოპყრობისათვის, რომელიც პირის მიმართ განხორციელდა არასახელმწიფო ერთეულების მიერ, კონვენციის 1 მუხლის მიხედვით მაღალ ხელშემკვერელ მხარეთა ვალდებულება გახლავთ საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში ყველა უზრუნველყონ კონვენციით განსაზღვრული უფლებებითა და თავისუფლებებით. აღნიშნული, მე-3 მუხლთან ერთად, ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოებს მიიღონ ზომები რათა მათი

იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირები არ დაექვემდებარონ წამებას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს, მათ შორის კერძო პირების მიერ ჩადენილ არასათანადო მოპყრობასაც (იხ. *mutatis mutandis*, *H.L.R. v. France*, 29 აპრილი 1997, § 40, *Reports* 1997-III). მოცემული ზომები უნდა უზრუნველყოფდეს ეფექტიან დაცვას, კერძოდ, ბავშვებისა და სხვა მოწყვლადი პირების, და მოიცავდეს გონვირულ ნაბიჯებს რათა თავიდან იქნას აცილებული არასათანადო მოპყრობა რომლის შესახებაც იცოდა ან უნდა სცოდნოდა სახელმწიფოს ორგანოებს (იხ. *mutatis mutandis*, *Osman v. the United Kingdom*, 28 ოქტომბერი 1998, § 116, *Reports* 1998-VIII, და *E. and Others v. the United Kingdom*, no. 33218/96, § 88, 26 ნოემბერი 2002).

139. თანამედროვე საზოგადოებაში პოლიტიკის განსაზღვრისა და ადამიანური ქცევის წინასწარ განჭვრეტის სირთულის გათვალისწინებით, ისევე როგორც იმ არჩევანის სიმძიმით, რომელიც უნდა გაკეთდეს პრიორიტეტებისა და რესურსების გათვალისწინებით, პოზიტიური ვალდებულების მასშტაბი განმარტებულ უნდა იქნას იმგვარად, რომ სახლმწიფო ორგანოებს არ დაეკისროთ შეუძლებელი ან არაპროპორციული ვალდებულება. არასათანადო მოპყრობის ყოველი საფრთხე ვერ იქნება სახელმწიფოსათვის კონვენციური მოთხოვნის - მიიღოს ოპერატიული ზომები მოცემული საფრთხის მატერიალიზების თავიდან ასაცილებლად - გამომწვევი. იმისათვის, რომ წარმოიშვას პოზიტიური ვალდებულება, უნდა დადგინდეს, რომ ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა რეალური და დაუყოვნებელი საფრთხის არსებობის დროს, არასათანადო მოპყრობის საფრთხის არსებობა კონკრეტული ინდივიდის წინაშე რათა დაეცვათ იგი მესამე მხარისაგან და რომ სახელმწიფო ორგანოებმა ვერ განახორციელეს სათანადო ზომები მათი უფლებამოსილების ფარგლებში, რომელთა განხორციელებაც გონივრული განსჯის მიხედვით, მოსალოდნელი იყო საფრთხის თავიდან ასაცილებლად. კიდევ ერთი გონივრული ფაქტორი გახლავთ იმის უზრუნველყოფა, რომ პოლიცია ახორციელებს მის უფლებამოსილებას რათა აკონტროლოს და თავიდან აიცილოს დანაშაულის ჩადენა იმგვარად, რომ სრულად სცეს პატივი დადგენილ პროცედურასა და სხვა გარანტიებს, რომელიც კანონიერად აწესებს შეზღუდვებს მათ მიერ დანაშაულის გამოძიებასა და დამნაშავეთა სამართალში მიცემის მასშტაბებზე, მათ შორის კონვენციის მე-8 მუხლში მოცემულ გარანტიებსაც (იხ. *Mubilanzila Mayeka and Kaniki Mitunga v. Belgium*, no. 13178/03, § 53, ECHR 2006-XI; *Members (97) of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses v. Georgia*, no. 71156/01, § 96, 3 მაისი 2007; და *Milanović v. Serbia*, no. 44614/07, § 84, 14 დეკემბერი 2010; იხ. აგრეთვე, *mutatis mutandis*, *Osman*, ციტირებული ზემოთ, § 116).

140. სასამართლო შესაბამისად განიხილავს თუ რამდენად დაარღვია მოპასუხე სახელმწიფომ, პირველი მომჩივნის საქმესთან მიმართებაში, კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილი პოზიტიური ვალდებულებანი.

(ii) აღნიშნული პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

141. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის დამრღვევი ძალადობრივი ქმედებანი ზოგადად საჭიროებს სისხლის სამართლის ზომების გამოყენებას მათ ჩამდენთა წინააღმდეგ (იხ. *Beganović v. Croatia*, no. 46423/06, § 71, 25 ივნისი 2009, მე-3 მუხლთან დაკავშირებით და *Sandra Janković*, ციტირებული ზემოთ, § 47, მე-8 მუხლთან დაკავშირებით).
142. თუმცა, მოცემულ საქმეში დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირთა უმრავლესობა ბავშვები გახლდნენ, რომლებსაც ჯერ არ შესრულებოდათ თოთხმეტი წელი და რომელთა წინააღმდეგად, ეროვნული სისტემის მიხედვით, შეუძლებელი გახლდათ სისხლისსამართლებრივი სანქციების დაწესება. ამასთანავე, მოცემულის საქმის სპეციფიური გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლოა ჩადენილი ქმედებები არც კი იქნეს მიჩნეული დანაშაულად, თუმცა, მოცემული ქმედებები ერთობლიობაში წარმოადგენდა შევიწროების ინციდენტებს, რომელიც შეუსაბამოა მოდის კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისად, მოცემული საქმე უნდა განსხვავდეს იმ სხვა საქმეებისაგან, რომელიც ეხება სახელმწიფოს პროცედურულ ვალდებულებებს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ არასათანადო მოპყრობასთან მიმართებაში, ანუ იმ შემთხვევებისაგან, როდესაც სახელმწიფო ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება საკუთარი ინიციატივით განახორციელონ ეფექტიანი და დამოუკიდებელი გამოძიება.
143. წინამდებარე საქმე ეხება სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას განსხვავებულ ვითარებაში, სისხლის სამართლის კანონმდებლობის მოქმედების ფარგლებს მიღმა, სადაც შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები ფლობდნენ ინფორმაციას სერიოზული შევიწროებისა და ძალადობის შესახებ, რომელიც მიმართული გახლდათ ფიზიკურად და გონებრივად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მიმართ. იგი ეხება ადექვატური რეაგირების არარსებობას მოცემულ ვითარებაში, რომელიც ჯეროვნად განიხილავდა ძალადობისა და შევიწროების უკვე განხორციელებულ ფაქტებს და ამით თავიდან აიცილებდა შემდგომ შემთხვევებს.
144. ზემოთთქმულის გათვალისწინებით, სასამართლომ პირველ რიგში განიხილა თუ რამდენად იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ შესაბამის ორგანოებს პირველი მომჩივნის წინააღმდეგ განხორციელებული შევიწროებისა და ძალადობის შესახებ.
145. ამ მხრივ სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალებში არსებული დოკუმენტები ადასტურებენ, რომ მეორე მომჩივანმა ჯერ კიდევ 2008 წლის 31 ივლისს შეატყობინა პოლიციას მეზობელი ბავშვების მხრიდან მისი ვაჟის მიმართ მიმდინარე შევიწროების შესახებ. მან ასევე შეატყობინა პოლიციას მრავალი სხვა ინციდენტის შესახებ, მათ შორის პირველი მომჩივნის ხელების სიგარეტით დაწვის ფაქტიც 2009 წლის 4 აპრილს. 2009 წლის აპრილში მან შეატყობინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ომბუდსმენს მოცემული ინციდენტის შესახებ. 2009 წლის მაისიდან ივლისამდე პოლიციამ შეატყობინა სახელმწიფო პროკურატურას ისევე როგორც

კომპეტენტურ სოციალური კეთილდღეობის ცენტრს პირველი მომჩივნის წინააღმდეგ გასაჩივრებული ბოროტი ქმედებების შესახებ. 2009 წლის სექტემბრისათვის სკოლის ადმინისტრაციაც გაფრთხილებული გახლდათ.

146. ზემოთხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოები ინფორმირებულნი იყვნენ პირველი მომჩივნის წინააღმდეგ მიმდინარე შევიწროების შესახებ სამეზობლოში მყოფი და ახლომდებარე სკოლაში მოსწავლე ბავშვების მხრიდან. სასამართლო შესაბამისად განიხილავს თუ რამდენად იქნა მიღებული გონივრული ზომები მოცემული საქმის გარემოებებში პირველი მომჩივნის მსგავსი მოქმედებებისაგან დასაცავად.
147. მოცემულ ვითარებაში, როდესაც ძალადობის შემთხვევები გრძელდებოდა დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ვერ განახორციელეს სათანადო მოქმედებანი რათა შეესწავლათ პრობლემა და თავიდან ეცილებინათ შემდგომი ბოროტი ქმედებები.
148. მართალია, რომ პოლიციამ დაკითხა რამდენიმე ბავშვი, რომელიც სავარაუდოდ ჩართული იყო რიგ ინციდენტებში და რომ სკოლის ადმინისტრაციამ განიხილა პრობლემა ბავშვებთან და მათ მშობლებთან. თუმცა, სასამართლო მიიჩნევს, რომ სერიოზულ ძალისხმევას ადგილი არ ჰქონია გასაჩივრებული ვითარების რეალური ბუნების შესაფასებლად და იმ სისტემატიური მიდგომის ნაკლებობის გასაანალიზებლად, რომელმაც გამოიწვია ადექვატური და ყოვლისმომცველი ზომების მიუღებლობა. შესაბამისად, პოლიციის დასკვნებს არ მოჰყოლია არანაირი შემდგომი კონკრეტული მოქმედება: არ მიღებულა არანაირი გადაწყვეტილება და არც მონიტორინგის მექანიზმები ამოქმედებულა რათა დაედგინათ და თავიდან აეცილებინათ შემდგომი შევიწროებანი. სასამართლო გაოგნებულია სოციალური სერვისების ჯეროვანი ჩარევის ნაკლებობით და შესაბამისი სფეროს ექსპერტების ჩაურთველობით, რომელთაც შეეძლოთ შესაფერისი რეკომენდაციების გაცემა და მუშაობა შესაბამის ბავშვებთან. ამასთანავე, პირველი მომჩივანისათვის არავის გაუწევია კონსულტაციები დასახმარებლად. ფაქტობრივად, სასამართლო ასკვნის, რომ რამდენიმე კონკრეტულ ინციდენტზე რეაგირების გარდა, არანაირი ზოგადი ხასიათის მოქმედება არ განხორციელებულა რათა მოგვარებულიყო პრობლემის ძირში არსებული საკითხი და ეს მიუხედავად იმისა, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა იცოდნენ, რომ პირველი მომჩივანი სისტემატურად ექვემდებარებოდა ბოროტ ქმედებებს და რომ ალბათობა შემდგომი ინციდენტებისა მაღალი იყო.
149. მოცემულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ კომპეტენტურმა სახელმწიფო ორგანოებმა არ მიიღეს ყველა გონივრული ზომა რათა თავიდან აეცილებინათ ბოროტგანზრახვები პირველი მომჩივნის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი მოპყრობის განგრძობადი საფრთხე რეალური და განჭვრეტადი გახლდათ.
150. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას პირველ მომჩივანთან მიმართებაში.

(ზ) მეორე მომჩივანთან მიმართებაში

(i) ზოგადი პრინციპები

151. მაშინ როდესაც კონვენციის მე-8 მუხლის დაცვის მთავარი ობიექტი გახლავთ ინდივიდის დაცვა საჯარო ხელისუფლების მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან, იგი არა მარტო აიძულებს სახელმწიფოს თავი შეიკავოს ამგვარი ჩარევისაგან: არამედ მოცემულ ნეგატიურ ვალდებულებასთან ერთად, აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებასაც, რომელიც განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს პირადი და ოჯახური ცხოვრების ეფექტიანად დასაცავად. მოცემული ვალდებულებები შესაძლოა მოიცავდნენ იმ ზომების მიღებას, რომელიც მიმართულია პირადი ცხოვრების პატივისცემის დასაცავად ინდივიდებს შორის ურთიერთობებშიც (იხ. *X and Y v. the Netherlands*, ციტირებული ზემოთ, § 23; *Botta v. Italy*, 24 თებერვალი 1998, § 33, *Reports* 1998-I; *Mikulić v. Croatia*, no. 53176/99, § 57, ECHR 2002-I; და *Sandra Janković*, ციტირებული ზემოთ, § 44).
152. სასამართლომ აქამდეც დაადგონა, რომ სხვადასხვა ვითარებებში, პირადი ცხოვრების არსი მოიცავს პირის ფსიქოლოგიურ ხელშეუხებლობასაც. კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით სახელმწიფოებს რიგ გარემოებებში ეკისრებათ ვალდებულება დაიცვან პირის მორალური ხელშეუვალობა სხვა პირთა ქმედებებისაგან. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სახელმწიფოებს ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება უზრუნველყონ ადამიანის ღირსების პატივისცემა და მისი ცხოვრების ხარისხი რიგ შემთხვევებში (იხ. *L. v. Lithuania*, no. 27527/03, § 56, ECHR 2007-IV, და, *mutatis mutandis*, *Pretty v. the United Kingdom*, no. 2346/02, § 65, ECHR 2002-III).

(ii) მოცემული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

153. სასამართლო მიიჩნევს, რომ მიმდინარე შევიწროების შემთხვევებმა გავლენა იქონია მეორე მომჩივნის პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე. იგი თვლის, რომ სახელმწიფო ორგანოებმა არ გამოიყენეს ადექვატური და შესაბამისი ზომები რათა თავიდან არცილებინათ პირველი მომჩივნის შემდგომი შევიწროება. ამასთანავე, სახელმწიფო ორგანოებმა არ მიანიჭეს სათანადო დაცვა ამ მხრივ მეორე მომჩივანს. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას მეორე მომჩივანთან მიმართებაში.

II. კონვენციის მე-14 მუხლის სავარაუდო დარღვევა

154. მომჩივნები დავობდნენ, რომ მათ წინააღმდეგ განხორციელებული მოქმედებები და შესაბამისი ორგანოების პასუხები დისკრიმინაციული გახლდათ სერბული

წარმოშობისა და პირველი მომჩივნის შეზღუდული შესაძლებლობების გამო. ისინი ეფუძნებოდნენ კონვენციის მე-14 მუხლს, რომელიც აღნიშნავს შემდეგს:

"am konvenciiT gacxadebuli uflebebiTa da TavisuflebebiT sargebloba uzrunvelyofilia yovelgvari diskriminaciis gareSe, sqesis, rasis, kanis feris, enis, religiis, politikuri Tu sxva Sexedulebebis, erovnuli Tu socialuri warmoSobis, erovnuli umciresobisadmi kuTvnilibis, qonebrivi mdgomareobis, dabadebisa Tu sxva niSnis ganurCevlad."

მისაღებობა

1. მხარეთა არგუმენტები

155. მთავრობა დავობდა, რომ მომჩივნებს შეეძლოთ სარჩელის შეტანა დისკრიმინაციის პრევენციის შესახებ კანონის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც მათ შეეძლოთ მოეთხოვათ ნებისმიერი შესაძლო დისკრიმინაციის აღიარება კანონის მიხედვით და ასევე, მოეთხოვათ დისკრიმინაციისა და მისი შედეგების აღმოფხვრა, კომპენსაციასთან ერთად.
156. მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ დისკრიმინაციის პრევენციის შესახებ კანონით სამართალწარმოება არ წარმოადგენდა ეფექტიან სამართლებრივ მისაგებელს, რადგან მათ არ შეეძლოთ გასაჩივრებული ვითარების მოგვარება. ამასთანავე, ისინი აღნიშნავდნენ, რომ კანონის მიღებიდან ორი წლის შემდეგ, არ არსებობდა შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა რომელიც დაადასტურებდა, რომ მოქალაქეები თავს კომფორტულად გრძნობდნენ კანონის მიხედვით სამართალწარმოებისას და არც ის სამართალწარმოება, რომელიც დაწყებული გახლდათ, არ მიიწევდა წინ ადექვატური ტემპით.

2. სასამართლოს შეფასება

157. კონვენციის მე-14 მუხლთან დაკავშირებით სასამართლო იმეორებს, რომ მოცემულ მუხლს არ გააჩნია დამოუკიდებელი სიცოცხლე, არამედ თამაშობს მნიშვნელოვან როლს კონვენციისა და ოქმების სხვა დებულებებთან ერთად, რადგანაც იგი იცავს მსგავს ვითარებაში მყოფ ინდივიდებს სხვა დებულებებით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას დისკრიმინაციისაგან (იხ. *Dudgeon v. the United Kingdom*, 22 ოქტომბერი 1981, § 67, Series A no. 45; *Chassagnou and Others v. France* [GC], nos. 25088/94, 28331/95 და 28443/95, § 89, ECHR 1999-III; და *Timishev v. Russia*, nos. 55762/00 და 55974/00, § 53, ECHR 2005-XII). მიუხედავად იმისა, რომ მე-14 მუხლის გამოყენების წინაპირობა არ გახლავთ მოცემულ დებულებათა დარღვევა - და ამ მხრივ იგი ავტონომიური ხასიათისაა - მისი გამოყენება მაინც დაუშვებელია თუკი საქმის ფაქტები ამასთანავე არ ხვდებიან სხვა მუხლების მოქმედების სფეროში (იხ.

მაგალითად, *Van Buitenen v. the Netherlands*, no. 11775/85, კომისიის გადაწყვეტილება 2 მარტი 1987, და *Cha'are Shalom Ve Tsedek v. France* [GC], no. 27417/95, § 86, ECHR 2000-VII).

158. სასამართლოს დადგენილი აქვს, რომ იმ ვითარებაშიც კი, როდესაც არსობრივი დებულებები არ გამოიყენება, მე-14 მუხლი მაინც შეიძლება იქნას გამოყენებული (იხ. *Savez crkava "Riječ života" and Others v. Croatia*, no. 7798/08, § 58, 9 დეკემბერი 2010). შესაბამისად, მე-14 მუხლის მისაღებობის საკითხი შესაძლოა ცალკე შეფასდეს.
159. მოცემულ საქმეში სასამართლო მე-14 მუხლით განიხილავს სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის საკითხს დისკრიმინაციის პრევენციის შესახებ კანონთან მიმართებაში. ამ მხრივ სასამართლო აღნიშნავს, რომ მან უკვე განიხილა სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის საკითხი დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საჩივარში ძირითად საჩივართან მიმართებაში ამოწურვის განხილვის გარეშე (იხ. *Valkov and Others v. Bulgaria*, nos. 2033/04, 19125/04, 19475/04, 19490/04, 19495/04, 19497/04, 24729/04, 171/05 და 2041/05, §§ 104-108, 25 ოქტომბერი 2011). მოცემული მიდგომა ეხმაურება პრინციპს, რომლის მიხედვითაც როდესაც კონვენციის ან მისი ოქმების არსებითი მუხლი მოხმობილ იქნა როგორც დამოუკიდებლად, ისე მე-14 მუხლთან ერთობლიობაში და ცალკე დარღვევა იქნა დადგენილი არსობრივ მუხლთან დაკავშირებით, სასამართლო უფლებამოსილია არ განიხილოს იგივე საკითხი მე-14 მუხლთან დაკავშირებითაც, თუმცა, ვითარება განსხვავებული იქნება თუ ადგილი აქვს უფლებით სარგებლობისას მოპყრობის აშკარა არათანასწორობას და თუ აღნიშნული წარმოადგენს საქმის ფუნდამენტურ ასპექტს (იხ. *Dudgeon*, ციტირებული ზემოთ, § 67; *Chassagnou and Others*, ციტირებული ზემოთ, § 89; და *Timishev*, ციტირებული ზემოთ, § 53).
160. მოცემულ საქმეში სასამართლო აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციის პრევენციის შესახებ კანონი შეიცავს ცალკეულ მითითებას ჯანმრთელობის მდგომარეობისა და შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე დისკრიმინაციაზე და ეხება ეთნიკურ წარმოშობასაც (იხ. კანონის მუხლი 1). იგი ადგენს მისაგებლების სპექტრს, მათ შორის დისკრიმინაციის აღიარება, დისკრიმინაციული ქმედებების აკრძალვა და კომპენსაცია მიყენებული ზიანისათვის. მისაგებლები შესაძლოა გამოყენებულ იქნას ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიმართ იმ შემთხვევაში, თუკი მათ არ მიიღეს სათანადო ზომები (იხ. პარაგრაფი 74 ზემოთ).
161. დისკრიმინაციის წინააღმდეგ დაცვა მოთხოვნილი უნდა იქნას საერთო სასამართლოების წინაშე და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების აპელაცია, ისევე როგორც კონსტიტუციური სარჩელი დაშვებულია. უფლება -არ იყო დისკრიმინირებული გარანტირებულია ხორვატიის კონსტიტუციის მიერ და კონვენცია კი პირდაპირ გამოიყენება ხოვატიაში. იმისათვის, რომ დაცული იქნას სუბსიდიარულობის პრინციპი, მანამდე სანამ საჩივარი წარმოდგენილი იქნება

სასამართლოში, ჯერ ეროვნულ სასამართლოებს უნდა მიეცეთ მისი განხილვისა და სამართლებრივი დაცვის საშუალება.

162. ხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივარი დისკრიმინაციის პრევენციის შესახებ კანონის დებულებების მიხედვით წარმოადგენს ეფექტიან შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივი დაცვის საშუალებას და მოცემული მისაგებლის ჯეროვან გამოყენებას შეეძლო შედეგად მიეღო დარღვევის აღიარება და ზიანის ანაზღაურება. იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანთა საჩივარი არ იქნებოდა წარმატებული საერთო სასამართლოების წინაშე, მათ შეეძლებოდათ საკონსტიტუციო სარჩელის შეტანა, რის შედეგადაც მათ სარჩელს განიხილავდა საკონსტიტუციო სასამართლო. თუმცა, მომჩივნებმა არ გამოიყენეს მათ ხელთ არსებული სამართლებრივი დაცვის მოცემული საშუალება.
163. შესაბამისად, აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ეს საჩივარი უარყოფილ უნდა იქნას კონვენციის 35 § 1 და 4 მუხლის მიხედვით სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებების ამოუწურავობის გამო.

III. კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

164. მომჩივნები აღნიშნავენ, რომ კონვენციით წარმოდგენილი საჩივრებზე მათ არ გააჩნდათ სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება. ისინი ეფუძნებოდნენ კონვენციის მე-13 მუხლს, რომელიც აღნიშნავს შემდეგს:

"yvelas, visac am konvenciiT gacxadebuli ufleba an Tavisufleba daerRva, unda hqondes samarTlebrivi dacvis qmediTi saSualeba erovnuli xelisuflebis winaSe, Tundac es darRveva Caidinos pirma, romelic samsaxurebriv uflebamosilebas axorcielebda."

ა. მისაღებობა

1. მომჩივნების მიერ წარმოდგენილ, კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლთან დაკავშირებულ საჩივრებთან დაკავშირებით

165. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული საჩივარი კავშირშია კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებით განხილულ საჩივრებთან და, შესაბამისად, მისაღებად უნდა ჩაითვალოს.

2. მომჩივნების მიერ წარმოდგენილ, კონვენციის მე-14 მუხლთან დაკავშირებულ საჩივართან დაკავშირებით

166. სასამართლომ უკვე დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლთან მიმართებაში, რომ მომჩივნებს გააჩნდათ ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალება - შეეძლოთ რა

შეეტანათ საჩივარი დისკრიმინაციის პრევენციის შესახებ კანონის საფუძველზე - რომელიც მათ არ გამოუყენებიათ. შესაბამისად, საჩივრის მოცემული ნაწილი არის აშკარად დაუსაბუთებელი და უარყოფილ უნდა იქნას კონვენციის 35 § 3 (ა) და 4 მუხლის მიხედვით.

ბ. საქმის არსებითი მხარე

167. მომჩივნები დავობდნენ, რომ მათ არ გააჩნდათ სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება რომელიც მათ დაიცავდა შევიწროებისა და ძალადობისაგან. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობამ წარმოადგინა რამდენიმე მისაგებელი, რომელიც სავარაუდოდ გააჩნდათ მომჩივნებს ამ კუთხით. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ მთავრობის მიერ მოხმობილი არცერთი მისაგებელი არ ეხებოდა მომჩივნების ვითარებას კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების საფუძველზე მათ მიერ წარმოდგენილი საჩივრების მიხედვით.
168. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნებს არ გააჩნდათ სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებანი კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების მიხედვით წარმოდგენილ საჩივრებთან მიმართებაში. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას ამ კუთხით.

VII. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

169. კონვენციის 41-ე მუხლი აღნიშნავს შემდეგს:

"Tu sasamarTlo daaskvnis, rom dairva konvenciiT an misi oqmebiT gaTvaliswinebuli ufleba, xolo Sesabamisi maRali xelSemkvreli mxaris Sida samarTali darRvevis mxolod nawilobrivi gamosworebis SesaZleblobas iZleva, saWiroebis SemTxvevaSi, sasamarTlo dazaralebul mxares samarTlian dakmayofilebas miakuTvnebs."

ა. ზიანი

170. ყოველი მომჩივანი ითხოვდა 10,000 ევროს მორალური ზიანისათვის.
171. მთავრობა მიიჩნევდა, რომ მოცემული თანხა გადაჭარბებული და დაუსაბუთებელი გახლდათ.
172. საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნებმა განიცადეს მორალური ზიანი, რომელიც ვერ იქნება კომპენსირებული მხოლოდ დარღვევის დადგენით. სამართლიან საწყისებზე შეფასებისას, სასამართლო მომჩივნებს ერთობლივად მიაკუთვნებს 11,500 ევროს მორალური ზიანისათვის, დამატებული ნებისმიერი გადასახადი რაც შესაძლოა დაეკისროს მოცემული თანხას.

ბ. ხარჯები

173. მომჩივნები, რომლებმაც ისარგებლეს იურიდიული დახმარებით ევროპის საბჭოს სქემის საფუძველზე, ასევე ითხოვდნენ 1,206 ევროს მიკუთვნებას იმ ხარჯების ასანაზღაურებლად, რომელიც მათ გასწიეს ეროვნული სასამართლოების წინაშე, ხოლო 4,997.13 ევროს კი ადამიანის უფლებათა სასამართლოს წინაშე გაწეული ხარჯებისათვის.
174. მთავრობამ აღნიშნა, რომ მომჩივნებს მოცემული მოთხოვნის დეტალები არ ჰქონდა წარმოდგენილი.
175. სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მომჩივანი უფლებამოსილია აუნაზღაურდეს გაწეული ხარჯები იმდენად, რამდენადაც მტკიცდება, რომ მოცემული ხარჯები რეალურად და აუცილებლობის ფარგლებში იქნა გაწეული, და რომ ეს უკანასკნელი არის გონივრული რაოდენობის. მოცემულ საქმეში, სასამართლო ითვალისწინებს რა მის ხელთ არსებულ დოკუმენტებსა და ზემოთხსენებულ კრიტერიუმებს, მიიჩნევს, რომ მომჩივნების მიერ მათი შევიწროების გამო გაწეული ხარჯები ეროვნული სასამართლოების წინაშე წარდგენილ სარჩელებზე დიდწილად მიმართული გახლდათ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი უფლებების დარღვევის გამოსწორებისაკენ (იხ. *Scordino v. Italy (no. 1)* [GC], no. 36813/97, § 284, ECHR 2006-V, და *Medić v. Croatia*, no. 49916/07, § 50, 26 მარტი 2009). მის ხელთ არსებული ინფორმაციისა და ზემოთხსენებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, სასამართლო მომჩივნებს ერთობლივად მიაკუთვნებს 1,206 ევროს ეროვნულ დონეზე სამართალწარმოებისას გაწეული ხარჯებისათვის, ხოლო 3,500 ევროს კი სასამართლოს წინაშე გაწეული ხარჯებისათვის. აღნიშნულს გამოკლებული 850 ევრო, რომელიც ევროპის საბჭოს იურიდიული დახმარების ფარგლებში უკვე გაცემულ იქნა, და მთლიან თანხას დამატებული ნებისმიერი გადასახადის ოდენობა, რომელიც შესაძლოა დაეკისროს მომჩივნებს მოცემულ თანხაზე.

გ. საურავი

176. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

1. აცხადებს, მისაღებად საჩივრებს კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების ისევე როგორც მე-13 მუხლის საფუძველზე, იმდენად რამდენადაც ეს უკანასკნელი

ეხება მე-3 და მე-8 მუხლებით წარმოდგენილ საჩივრებს. ხოლო დანარჩენი საჩივრები კი მიუღებლად იქნას მიჩნეული.

2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი პირველ მომჩივანთან მიმართებაში;
3. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი მეორე მომჩივანთან მიმართებაში;
4. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-13 მუხლს დარღვევას;
5. ადგენს:

(ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ, მომჩივნებს ერთობლივად, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში უნდა გადაუხადოს:

- (i) 11,500 (თერთმეტი ათას ხუთასი ევრო), მორალური ზიანის ანაზღაურების სახით და ნებისმიერ გადასახადი, რომელიც ამ თანხას შესაძლოა დაეკისროს;
- (ii) 4,706 (ოთხი ათას შვიდას ექვსი ევრო) ხარჯების ასანაზღაურებლად და ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხას შესაძლოა დაეკისროს, გამოკლებული 850 (რვაასორმოცდაათი ევრო);

(ბ) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადახდამდე, გადასახდელ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, დამატებული სამი პროცენტი.

6. უარყოფს მომჩივნების დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

სიორენ ნიელსენი
სასამართლო გამწესრიგებელი

ანატოლი კოვლერი
პრეზიდენტი

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი გაკეთდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების ნდობის ფონდის მხარდაჭერით (www.coe.int/humanrightstrustfund). თარგმანი სასამართლოსთვის სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე არაა და სასამართლო მის ხარისხზე პასუხს არ აგებს. თარგმანის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>), ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელსაც სასამართლომ წინამდებარე თარგმანი გადასცა. თარგმანის გამოყენება არაკომერციული მიზნებისთვის ნებადართულია იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული დასახელების ციტირება, ზემოთ მოცემული საავტორო უფლებებისა და ადამიანის უფლებების ნდობის ფონდის შესახებ შენიშვნის მითითებით. წინამდებარე თარგმანის, ან მისი ნაწილის, კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ, მიმართოთ publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013.

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2013.

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.